,,ა(ა)იპ ‘’ საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

მაგდა ფარტენაძე

გუნდურობის პრინციპი ინკლუზიურ განათლებაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი
დარეჯან გელაძე

ხიჭაური

2021

„როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.''

ნაშრომის ავტორი: მაგდა ფარტენაძე

2021

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ‘’ გუნდურობის პრინციპი ინკლუზიურ განათლებაში‘’, ეხება ინკლუზიური განათლების ხელშეწყობასა და დანერგვას. 21-ე საუკუნის ადამიანისთვის განსხვავებულობა უცხო ნამდვილად არ არის, პიროვნების განვითარებასთან ერთად ვითარდება ინტელექტი და წარსულში არსებული სტერეოტიპების მსხვრევა, იარლიყებისა და ცრურწმენების თავიდან აცილება, მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბება განურჩევლად ეთნიკური, რელიგიური და რასობრივი კუთხით, თითოეული მოსწავლე ბავშვთა უფლებათა კონვენციის მიხედით უფლებამოსილია მიიღოს განათლება თანატოლების ერთად, ერთ საკლასო ოთახში. ინკლუზიური განათლების დასანერგად აუცილებელია სკოლის თითოეული წევრის გუნდური მუშაობა. გულისხმიერი მიდგომა ბავშვებისადმი, მეტი დაკვირვება და ჩართვა სასწავლო პროცესში, ინდივიდუალიზაციის პროცესი, ბავშვის ჩამოყალიბება კომპლექსური პროცესია და რიგ მიდგომებთან და საჭიროებებთან მივყავართ, რაც მასწავლებლის გულისხმიერებას, დიდძალ ენერგიას, მოსწავლეებისადმი სიყვარულს მოითხოვს, განსაკუთრებით მეტი ყურადღება სჭირდებათ სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებს, ისინი ჩვენი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან, აღზრდა თავისთავად კულტურის ნაწილია, კულტურა საზოგადოების გარეშე არ არსებობს, ხოლო საზოგადოებას შევადგენთ ჩვენ ადამიანები , ეს ცხოვრებისეული ციკლი რომ არ შეწყდეს საჭიროა მომავალი თაობების ჯანსაღად აღზრდა, ეს ჩვენ ერთად ყველას შეგვიძლია.

სამაგისტრო ნაშრომში მოცემული აჭარის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებული რეალობა ინკლუზიური განთლების კვალდაკვალ , რა კონკრეტული სახის სირთულეების გადალახვა უწევთ სკოლის ადმინისტრაციას, ფსიქოლოგს, მასწავლებლებს, მშობლებს, მოსწავლეებს. სკოლის გუნდი უნდა ფლობდეს ინკლუზიური განათლების არსს და პრინციპებს. გუნდურად უნდა აწარმოონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და დაგეგმონ აქტივობები მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე.

სამაგისტრო ნაშრომი დაეხმარება და სტიმულს მისცემს ,როგორც მოქმედ მასწავლებლებს , ასევე მაძიებლ მასწავლებლებს, სპეციალურ მასწავლებლებს და

მათ ვინც ფიქრობს რომ ინკლუზიური განათლების როლი საზოგადოების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფორმირებაში განუზომელია.

Annotation

The master's thesis,, The Principle Of Teamwork In Inclusive Education'' deals with the promotion and introduction of inclusive education. The differences of the human beings is no stranger in 21st century , with the development of personality the intellect develops and breaks down stereotypes of the past , avoding labels and superstitions , forming a student personality regardless of ethnicity , religion or race in one classroom. Implementing inclusive education requires teamwork for each member of the school. A caring approach to children , more observatrion and involvement in the learning process, the process of individualization , child's development is a complex process and leads to anumber of approaches and needs, which requires the teacher's kindness, great energy , love for students ., especially children with special needs , are upbringing itself is part of the culture. The culture does not exist without society , and society is made up of us humans , thet is life cycle is not to be interrupted by the healthy upbringing of future generations ,this we can do all do together .

The reality in the general education schools of Adjara given in the master's thesis , following the inclusive education ,what specific difficulties the school administration , psychologist, teachers, parents, students have to overcome. The school team must possesss the essence and principle of inclusive education. As a team, they should develop an individual curriculum for a student with special educational needs and plan activities based on the needs of the students .

The master's thesis will help and motivate both current teachers , aspiring teachers , special educators and those who think the role of inclusive education in the economic and political formation of society is immeasurable .

სარჩევი

შესავალი 7

I თავი-ინკლუზიური განათლების რაობა.....10

1.1 ინკლუზიური განათლების სახეები და მოდელები 14

1.2 ინკლუზიური განათლების პრინციპები.....20

1.3 ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი სასწავლო გარემო.....23

1.4. სკოლის ისგ ჯგუფის და მულტიდისციპლინური გუნდის თანამშრომლობ.....28

1.5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.....42

II თავი - კვლევა აჭარის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გუნდური მუშაობის მდგომარეობის შესწავლა სსსმ მოსწავლეების სრული ინკლუზიისთვის.....47

დასკვნები და რეკომენდაციები.....62

გამოყენებული ლიტერატურა.....65

შესავალი

1991 წელს გაეროს მიერ ადამიანის უფლებების და შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ ანგარიშში მითითებულია რომ ბავშვთა უფლებების კონვენციის მიხედვით განათლების მიღების ფუნდამენტური უფლება აქვს ნებისმიერ ადამიანს განურჩევლად შესაძლებლობებისა, უნარებისა , ეთნიკური, სოციალური და პოლიტიკური კუთვნილებისა.

ინკლუზიური განათლება გულისხმობს, რომ ყველა მოსწავლე იქნას მიღებული სასკოლო დაწესებულებებში ასაკის შესაბამისად, ხელი შეეწყოთ მათ, რათა განათლება მიიღონ, მოხდეს მათი ინტეგრირება სასკოლო ცხოვრების ნებისმიერ ასპექტში. ინკლუზიური განათლების დასანერგად აუცილებელია სასწავლო გარემოს ადაპტირება, სასწავლო პროგრამის მოდიფიკაცია და აქტივობების შერჩევა, რათა თითოეულმა მოსწავლემ შეძლოს მიუხედავად რომელიმე უნარის შეზღუდვისა ჩაერთოს საგანმანათლებლო პროცესში.

ინკლუზიური განათლება ეს იგივეა, რაც ნებისმიერი მოსწავლის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა, მოსწავლეების უზრუნველყოფა მათი მრავალმხრივი საჭიროებების ეფექტურად დაკმაყოფილების საპასუხო, პატივისცემით გამსჭვალულ, ტოლერანტ ადამიანებად ჩამოყალიბება , რაც მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურული განვითარებისთვის. უნდა მოხდეს მოსწავლეთა შორის არსებული ბარიერების გადალახვა , არსებული დაბრკოლებების აღმოფხვრა, რათა შემცირდეს პიროვნების გარიყვის რისკები.

ინკლუზიური განათლება ხორციელდება საერთო სასწავლო გარემოში, სადაც სხვადასხვა ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები სწავლობენ ერთად. აუცილებელია შეიქმნას კეთილმოწყობილი სასწავლო გარემო, ორიენტირებული მოსწავლის შესაძლებლობებზე და თითოეულმა მოსწავლემ მიიღოს განათლება თანაზიარად. უკანასკნელ წლებში აქტუალურია სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინკლუზია, ამგვარი მიდგომის საფუძვლებში ისეთი ფუნდამენტური პრინციპები იჩენს თავს, როგორებიცაა: ბავშვთა უფლებების დაცვა, განთლების ხელმისაწვდომობა, მოსწავლეთა ადაპტაცია და სოციალიზაცია, ასევე იკვეთება განსხვავებულობის მიმღებლობა და პატივისცემა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები ეს ფართო ცნებაა, რაშიც მოიაზრება მოსწავლეები , რომლებსაც სხვადასხვაგვარი საჭიროებები და პრობლემები გააჩნიათ სწავლაში, ესაჭიროებათ მათზე მორგებული სასწავლო გარემო ,რაც დაეხმარებათ მასალის ათვისებაში და აკადემიური ცოდნის მიღებაში. სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლედ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი მოსწავლის კატეგორია, რომელიც კლასში სხვა მოსწავლეებზე მეტად ნიჭიერია, განსაკუთრებულად ნიჭიერ მოსწავლეებს განსაკუთრებული მიდგომა სჭირდებათ, ,რათა მაქსიმალურად შეძლონ თავიანთი ნიჭისა და უნარების რეალიზება.

კვლევის აქტუალობა: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის აუცილებლობა, განხორციელებული კვლევის გზები, ინკლუზიური განთლების სასკოლო და მხარდამჭერი გუნდის დამოკიდებულების კვლევა, ინკლუზიური განთლების უზრუნველყოფა.

კვლევის მიზანი: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების ეფექტური განხორციელებაში გუნდური მიდგომის შესწავლა, არსებული პრობლემების გამოვლენა და გაუმჯობესების გზების დასახვა.

კვლევის ამოცანები: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების მზაობის დადგენა, აჭარის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის კეთილგანწყობილი და ხელშემწყობი გარემოს შესწავლა, სკოლის პროფესიონალური გუნდის დამოკიდებულების კვლევა, ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის მშობელთა ჩართულობის კვლევა .

კვლევის მეთოდები: ინტერნეტ რესურსების მოძიება, ონლაინ გამოკითხვა ,ინტერვიუ.

კვლევის მეცნიერულ ტექნიკური ბაზა: ტბელ აბუსერისძის ბიბლიოთეკა პირადი ბიბლიოთეკა, ვებ გვერდები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ისგ გუნდი: დირექტორი, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი , ფსიქოლოგი და სპეციალური მასწავლებელი.

კვლევის შედეგების გამოყენების პერსპექტიული სფერო : განათლების მიმართულების სპეციალობის ბაკალავრის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის

საფეხურის სტუდენტები, სპეციალური მასწავლებლები, ფსიქოლოგები, მშობლები ასევე მოქმედი მასწავლებლები და მაძიებლები, მშობლები.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავისგან, ხუთი ქვეთავისგან , დასკვნისა , რეკომენდაციებისა და გამოყენებული ლიტერატურისგან.

I თავი-ინკლუზიური განათლების რაობა

თანამედროვე სამყაროს მიზანმიმართული სწრაფვა თანასწორუფლებიანი , დემოკრატიული საზოგადოების შენებისკენ უბრალოდ სურვილი არ არის, ეს არის აუცილებელი და უამრავი ფაქტით შეიძლება დადასტურდეს. დემოკრატია ყურად იღებს ნორმად ქცეული უმრავლესობის ინტერესებს და უმრავლესობის ინტერესებით ხორციელდება, არსებობს მეორე მხარე ,ვინც უმცირესობების სახელით არიან ცნობილნი , სამწუხაროდ მათი ინტერესები ხშირად დაუცველი რჩება. უმცირესობების რიცხვს მიეკუთვნებიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები , რომელთა ინდივიდუალური მახასიათებლები ნათელია და მთა მიმართ დამოკიდებულების ამსახველია. ინკლუზიური განთლება ასახავს ნებისმიერი ადამიანის უფლებას , რომ მიიღოს განათლება და თავი იგრძნოს საზოგადოების სრულუფლებიან წევრად , გათვალისწინებით იმისა , რომ ყველა ადამიანი განსხვავებულია და ამ განსხვავების მიღება და აღიარება ნორმად უნდა იქცეს საზოგადოებაში, ინკლუზიური სწავლება არ გულისხმობს ნორმის პათოლოგიის ინტეგრირებას ,პირიქით იგი წარმოადგენს ყველა ადამიანის ინტეგრირებას ჯგუფში. იმ ჯგუფში ,სადაც თითოეული ადამიანის უფლებები დაცული იქნება , იმის მიუხედავად შეზრუდვისა.

ინკლუზიური განათლება ყველა მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული სწავლების მოდელია, სადაც სწავლის ხელმისაწვდომობა განისაზღვრება პიროვნების უნარებითა და შესაძლებლობებით.

საქართველოში ფართოდ გავრცელდა ინკლუზიური განათლების იდეა, რასაც განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებმა ხელი შეუწყო, სკოლის საგანმანთლებლო რეფორმის უმთავრესი მიზანია მოსწავლისა და მისი მოთხოვნილებების საჭიროებების დაკმაყოფილებაა, რითაც სახელმწიფო ინტერესდება და კონკრეტული ეტაპები განახორციელა, რაც შეხება მასწავლებლის სტანდარტს გათვალისწინებულია,რომ ყველა მასწავლებლისთვის ინკლუზიური სწავლების პრინციპების ცოდნის აუცილებელია. მიუხედავად ამისა, სასკოლო განათლების სფეროში, ინკლუზიური განთლების არსისა და ფილოსოფიის შესახებ საკმაოდ ორაზროვანი წარმოდგენაა. მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამები ჯერ კიდევ არ ითვალისწინებს ინკლუზიური განთლების მიდგომის პრინციპებს,

ლოგოპედის, სპეციალური მასწავლებლის და ფსიქოლოგის მომზადებას გააჩნია რიგი ხარვეზები, არ მოიპოვება ქართულ სინამდვილეში დანერგილი და პრაქტიკულად გამოცდილი მოდელები, მცირეა მულტიდისციპლინურ გუნდში მშობელთა თანამშრომლობა, განათლების მუშაკებისთვის ბუნდოვანი და გაურკვეველია ნორმალური განვითარების უნარშეზღუდულობის ცნებები, ბავშვის განსხვავებული განვითარების ეტაპები,

ინკლუზიური განათლების პრინციპების სკოლაში დანერგვას სერიოზული განთლების საფუძვლიანი გადამზადება სჭირდება , რაც გულისხმობს კონკრეტული სკოლის სპეციფიკის და გარემო პირობების გათვალისწინებას. 21-ე საუკუნის უნარების განვითარება აუცილებელია მოსწავლისთვის , ესენია: ცოდნა, მოსმენა , გაგება, გამოყენება, ანალიზი , პრობლემის გადაჭრა, მედიაწიგნიერება , კომუნიკაცია, პასუხისმგებლობა, ლიდერობა და თვითშემეცნება, რაც თავის მხრივ მეტად აქტუალურია მოსწავლის აკადემიური განვითარებისთვის, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში სოციალური კურსის ტენდენციას წარმოადგენდა ინტეგრაცია, მონაწილეობის ხელშეწყობა და ექსკლუზიასთან დაპირისპირება, ინკლუზია და მონაწილეობა არსებითია ადამიანური ღირსების , ადამიანთა უფლებებით სარგებლობის და დაცვისთვის, საგანმანთლებლო სივრცეში ეს ყოველივე ასახვას ჰპოვებს სტრატეგიების განვითარებით , რაც ეძებს შესაძლებლობათა გათანაბრების სისრულეში მოყვანის გზებს. უამრავ ქვეყნებში არსებული გამოცდილება აჩვენებს , რომ განსაკუთრებული სასწავლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ჩართვა ყველაზე მეტად მიღწევადია ინკლუზიურ სკოლებში, რომლებიც ზრუნავენ და ემსახურებიან თითოეულ ბავშვს საზოგადოებაში, ეს იმას ნიშნავს , რომ სპეციალურ საჭიროების მქონე პირებს შესწევთ ძალა და უნარი საზოგადოებაში თავისუფლად ინტეგრირების, როდესაც ინკლუზიური სკოლები სრულად აღჭურვავს კეთილმოწყობილ გარემოს, რათა თანაბარ შესაძლებლობათა სრული მონაწილეობა მოხდეს, სასწავლო გუნდის, მშობლისა და თანატოლების მიერ მოხდეს მოსწავლეებისთვის ცოდნის გადაცემა უნარების და შესაძლებლობის მიხედვით, უმთავრესი თავად ინდივიდზეა დამოკიდებული, მის ვალდებულებებზე, მრწამსზე ,კეთილ ნებასა და დამოკიდებულებაზე თუ როგორ შეძლებს გახდეს საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი , რა თქმა უნდა პირველ რიგში, თავად უნდა მიიღოს საკუთარი თავი.

საქართველოში ინკლუზიური განათლების განხორციელების მიზნით საჯარო სკოლების პედაგოგებისთვის განათლების სიტემამ სხვადასხვა პროექტები შექმნა. ამ პერიოდში შემუშავდა ოცსაათიანი ტერნინგ პროგრამა - ‘’ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინტეგრაცია ზოგადსაგანმანთლებლო სკოლაში’’, ტრენინგის მოდული მოიცავდა ზოგად ინფორმაციას ინკლუზიური განთლების პრინციპეპბზე ,საკლასო ოთახშია არსებულ ინტეგრაციის საკითხებს,მასწავლებლების მომზადებსი ეროვნულმა ცენტრმა ასევე შეიმუშავა ოთხი მოკლევადიანი კურსი პედაგოგიკაში - ‘’ბრაილის სისტემა და მისი სწავლების მეთოდიკა , აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეთა სწავლება, ჟესტური ენის პირველი დონე , რთული ქცევის მართვა.

1994 წლის 7- 10 ივნისში ესპანეთში, კერძოდ კი სალამანკაში 92 მთავრობისგან შედგენილი და 25 საერთაშორისო ორგანიზაციის სამასამდე მონაწილე შეხვდა ერთმანეთს, რათა ხელი შეწყოოთ ,, განათლება ყველასთვის’’ - მიზანი ინკლუზიური განთლების განხორციელებისა და ფუნდამენტური პოლიტიკის განხილვის გზით. ეს გულისხმობდა სკოლებისთვის იმ შესაძლებლობის მინიჭებას , რომელიც შესაძლებლობებას მისცემს სკოლებს ,მოემსახურონ ყველა ბავშვს, მეტწილად კი სპციალური საგანმნათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს. UNESCO -ო ესპანეტის მთავრობის ორგანიზებით საკონფერენციოდ ერთად შეკრიბა განათლების სფეროს მაღალი თანამდებობის პირები , ხოლო კონფრენციაზე მიღებული იქნა სალამანკას დეკლარაცია ,რაშიც შედიოდა სპეციალური საჭიროების პირთა დეკლარაცია, უფლებები , პოლიტიკა , პრაქტიკა და სასწავლო გეგმა. მთავარი პრინციპი ,,სკოლა ყველასთვის’’ , ხოლო საერთო მიზანი ,,განათლება ყველასთვის’’ , რაც ეფექტურ სასწავლო პროცესში ბავშვების ჩართვას გულისხმობდა , ვინც სკოლის კედლებს გარეთ იმყოფებოდა, განათლების შესაძლებლობა და სწავლის ხელმისაწვდომობა არ ქონდათ.

სსს მქონე პირთა განათლება -მსოფლიოს ყველა ქვეყნებისთვის თანაბრად საზრუნავი საკითხი გახდა , რასაც იზოლირება ზღუდავს, რაც პირობას უქმნის ჩვეულებრივ საჯარო სკოლებს მნიშვნელოვანი რეფორმები ჩამოაყალიბოს. მნიშვნელოვანი დეკლარაცია წარმოაჩენს მსოფლიო თანამედროვე მიმართულებით კონსესუსს სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მოსწავლეთა განათლებაში.

სპეციალური საჭიროების მქონე პირთა განათლების პრინციპის, პრაქტიკის და პოლიტიკის შესახებ სალამანკას დეკლარაციაში წერია: ყველა ბავშვს აქვს განათლების ფუნდამენტური უფლება;

- თითოეულ ბავშვს აქვს თანდაყოლილი უნიკალური შესაძლებლობები და უნარები;
- უნდა შემუშავდეს განათლების სიტემა და დაინერგოს საგანმანანთლებლო პროგრამები;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომი და ადაპტირებული უნდა იყოს სკოლები, საჭირო შესატყვისი პირობების შექნით;
- აუცილებელია მოხდეს ყველა საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების დისკრიმინაციის აღმოფხვრა;

ინკლუზიურ განათლების დანერგვასთან დაკავშირებით პრობლემები მაინც არსებობს: მასწავლებლისა და მშობლების თანამშრომლობა, არაკომპეტენტური მასწავლებლები , რაცა ფერხებს ეფექტურ სწავლებას და მის ხარისხს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და სპეციალური განათების მასწავლებელთა გამოცდილებების გაზიარება აუცილებელია მათი შეხვედრების რეგულირება. სწორედ ამიტომ შემუშავდა ინკლუზიური სწავლების მოდელები, რაც თავისთავად ბავშვზე ორიენტირებული სწავლებისთვის მნიშვნელოვნად სასიცოცხლოა. ყველაზე მეტად ხდება მოსწავლის შემდეგი ინტელექტუალური უნარების შესწავლა: მეტყველების განვითარება, წერა-კითხვა, ემოციური სფერო, სოციუმში ჩართულობა, თვითმომსახურება, ქცევა, სათანადო სტრატეგიების გამოყენება ხელს შეუწყობს სსს მქონე მოსწავლეებს თვითშეფასების ამაღლებას, ვინაიდან ბავშვი რომელსაც გააჩნია სპეციალური საჭიროებები, ზოგჯერ თავს გარიყულად გრძნობს და უქვეითდება ბუნება- განწყობა, თვითშეფასება , რაც აისახება მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე , სწავლის ხარისხზე, როდესაც ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ტრავმას ემატება საზოგადოების დამოკიდებულება , რა თქმა უნდა ბავშვი თავს თვლის არასრულფასოვნად, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები და იარლიყები შესაძლოა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდეს ბავშვის განვითარებისთვის. უნდა მოხდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რომ სპეციალური

საგანმანათლებლო სჭიროების მქონე ადამიანი, ჩვეულებრივი ადამიანია , რომ რიგი დაავადებების სპექტრი გადამდები არ არის და საფრთხეს არ წარმოადგენს სხვებისთვის, მათ მეტი სითბო, ყურადღება და მიდგომა სჭირდებათ . ამიტომ სკოლის ადმინისტრაციის როლი გადამწყვეტი ფაქტორია, სკოლის ინფრასტრუქტურა უნდა იყოს ადაპტირებული რაც ესაჭიროება სსსმ მოსწავლეებს გადაადგილებისთვის , რომ არ შეფერხდეს მათი რეგულარული სწრებადობა და ჩართულობა საკლასო ოთახში, აუცილებელია გადამზადებული სპეციალური მასწავლებელი , რომელიც ფსიქოლოგთან და ისგ გუნდთან ერთად დაგეგმავს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო გეგმას მის უნარებზე და ქცევაზე დაკვირვებით. სპეციალური საჭიროებებით ზოგჯერ იბადება ბავშვი, თუმცა ხშირია შეძენილი შეძღუდვები- ავტოკატასტროფა, ფსიქოლოგიური ტრავმა, ეკრანდამოკიდებულება , ჩამოთვლილი ფაქტორები ქმნიან შეძენილ სამედიცინო ფაქტორებს და სრულიად ჯანმრთელი ადამიანს შესაძლოა უნარი შეეზღუდოს, ამიტომ პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ ერთმანეთს , დავეხმაროთ , გვერდით დავუდგეთ ერთმანეთს, რათა ინკლუზიური განათლება თეორიულად და პრაქტიკულადაც მიღწევადი გახდეს.

1.1 ინკლუზიური განათლების სახეები და მოდელები

ინკლუზიური განათლება ეს არის, განათლების ფორმა , როდესაც თითოეულ მოსწავლეს აქვს სრული უფლება მიიღოს განათლება, ჩაერთოს სასწავლო პროცესში და გახდეს სრულუფლებიანი მოქალაქე. ბავშვთა უფლებების ამგვარ, ფართო არეალს არ გააჩნია მხოლოდ თეორიული საფუძველი, ვინაიდან სხვადასხვა ქვეყნებში მიღებულია კონკრეტული თუ არსებული ღონისძიებებით ,ეს იქნება ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები. მოსწავლეების უმეტესი ნაწილი განიცდის სწავლასთან დაკავშირებულ უამრავ სირთულეს, გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს ფიზიკური, ემოციური , ლინგვისტური, მენტალური, ინტელექტუალური და სხვა პრობლემატური ფაქტორები. სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები შესაძლოა შეექმნათ ნიჭიერ მოსწავლეებსაც კი, ხოლო განათლების სამინისტროს აპარატი ვალდებულია

მოძებნოს გზები წარმატებით შეასწავლოს თითოეულ მოსწავლეს სასკოლო საგნები ,შეუქმნას მსოფლმხედველობა, მეგობრული გარემო, სადაც შეძლებენ მაღალი ხარისხის აკადემიურ განთლების მიღებას. აღსანიშნავია, ის ფაქტი რომ ინკლუზიური განთლება არ ნიშნავს , იმას რომ სპეციალური საჭიროებების მოსწავლეებმა ერთიან საკლასო ოთახში გაატარონ თანატოლებთან ერთად დრო , მეტიც ინკლუზიური განათლების მიზანია : თითოეულ ბავშვს ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს ხარისხიანი განათლება თანატოლებთან ერთად ,თავიანთ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს, გაუმჯობესდეს მოსწავლის სოციალური და აკადემიური უნარ-ჩვევები ,შეამზადოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის და ჩამოყალიბდეს საზოგადოების სრულფასოვან წევრად. ინკლუზიური განათლება ჯგუფში აქტიურ ჩართულობას გულისხმობს ,თანამონაწილეობას არამხოლოდ სასწავლო პროცესში, არამედ თანატოლებთან ურთიერთობების ჩამოყალიბებას , სადაც იქნება მშვიდი ატმოსფერო, დაფუძნებული ჯგუფურ მუშაობაზე, ფაქტობრივად გუნდური მუსაობა ყველაზე ეფექტურია წარმატებით განსახორციელებლად კლასის ცხოვრებისა და ინდივიდის განვითარების. ამ ტიპის ურთიერთობით, მოსწავლეები ეუფლებიან აკადემიურ ჩვევებსა და ივითარებენ უნარებს.

ინკლუზიური განათლების მოდელი დაფუძნებულია რწმენაზე , რომ თითოეულ ბავშვს აქვს უფლება განათლება მიიღოს და მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი პოტენციალი ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში თავის თანატოლებთან ერთად.

თითოეული მოსწავლე სრულად იღებს მონაწილეობას სასკოლო და საკლასო აქტივობებში ,ურთიერთთანამშრომლობით ,მასწავლებლისა და სპეციალისტის მხარდაჭერით.

ინკლუზიური განათლება ეფუძნება იმას, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კლასის წევრია, ხოლო სკოლის მასწავლებელი ვალდებულია ბავშვს მოარგოს სასწავლო გარემო და სასწავლო გეგმის მოდიფიცირებით იბრძოლოს მიზნის განსახორციელებლად, სკოლის პედაგოგოგი იწყებს თანამშრომლობას ლოგოპედთან, ფსიქოლოგთან , სპეციალურ მასწავლებელთან ,ასევე მშობლებთან ,მსგავს მოდელს კოლაბორაციულ მოდელს უწოდებენ. ინკლუზიური სკოლა მზრუნველი, მხარდამჭერი , ბავშვის

განვითარების მასტიმულირებელი სასწავლო სივრცეა, სადაც პატივისცემით ეპყრობიან და აღიარებენ განსხვავებას, ხოლო მოსწავლეები სწავლობენ მათზე მორგებული სასწავლო გეგმის მიხედვით.



სკოლაში და საზოგადოებაში მოსწავლეებს უნდა გააჩნდეთ გარკვეული ცოდნა , თუმცა ცოდნა და უნარები ვერ ქმნიან საკმარის საფუძვლებს სასურველი შედეგების მისაღწევად.გარკვეულ სიტუაციაში ბავშვმა შეიძლება ვერ მოახერხოს ცოდნის გამომჟღავნება და გაუჭირდეს ჩართვა, ხოლო ზოგადსაგანმნათლებლო პროგრამების დაგეგმვისას აუცილებელია გათვალისწინბული იქნას სამივე კომპონენტი : თანამონაწილეობა, დამოკიდებულება და ცოდნა /უნარები.

ინკლუზიურ განათლებაში არსებითია უნარშეზღუდულობა და ნორმა, ურთირთიერთდაკავშირებული ტერმინები, გამოყოფენ სამი სახის სეზღუდვის ხარისხი , ესენია: დაზიანება , უნარშეზღუდულობა და ინვალიდობა.

*დაზიანება - ორგანიზმის სხვადასხვა სისტემების ორგანული დაზიანება ან ინდივიდის ფსიქიკური აშლილობა , რომელიც იწვევს ადამიანის ფუნქციონირების დროებით დაქვეითებას სხვადასხვა აპექტში;

* უნარშეზღუდულობა- დაზიანების ან დარღვევის შედეგად გამოწვეული ან ქრონიკული შეზღუდვა ფიზიკური ან ფსიქოლოგიური რაკურსით, რაც ახდენს ძალიან მნიშვნელოვან გავლენას შრომის ,სწავლის კომიუნიკაციის სფეროში;

*ინვალიდობა - ინდივიდის მიერ მოცემულ საზოგადოებასა და კულტურაში მიღებული ასაკის შესაფერისი როლის შესრულების შეუძლებლობა. დღეს ეს ტერმინი ინვალიდი აღარ გამოიყენება, შეიცვალა -შეზღუდული შესაძლებლობით.

უნარშეზღუდულად ითვლება მოსწავლე ,როცა მას აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური დარღვევა ,რომელიც ზეგავლენას ახდენს ყოველდღიური სქქმნიანობის შესრულების შეზღუდვაზე, ეს ნიშნავს, როგორც ინტეგრაციას და მოქმედებას, ამის შესაბამისად შეზღუდული შესაძლებლობები ნიშნავს, შეზღუდვას მოქედებაში და შეზღუდვას მონაწილეობაში, ინვალიდობა უფრო სოციალური ხასიათის ცნებაა- ორი ერთნაირი უნარშეზღუდულობის მქონე პირისგან ერთი შეიძლება იყოს ინვალიდი მეორე კი არა , ინვალიდობა არის უნარშეზღუდულობის ხარსიხის პირადპირპროპორციული, , მსუბუქი უნარშეზღუდვა ვისაც აქვს, შეიძლება შეეძლოს , თუმცა ვერ ასრულებლდეს, თავისი ასაკისა და კულტურის შსაბამის აქტივობებს შესაძლაო ინვალიდად ჩაითვალოს. სწავლების სპეციალური საჭიროების პირობებს ტრადიციულად გამოყოფენ ხუთი კატეგორიით:

1. ფსიქიკური აშლილობა ;
2. სიბრმავე ;
3. სიყრუე;
4. ფიზიკური შეზღუდვა;
5. გონებრივი შეზღუდვა;
6. ფსიქოლოგიური ტრავმა;
7. ცერებრული დამბლა;
8. მოტორული დისფუნქცია;
9. ეპილექსიური შეტევები;
10. მეტყველების არტიკულაციური მხარის დარღვევა;
11. დასწავლის უნარის დაქვეითება.

უნარშეზღუდვის დეფინიცია მოიაზრებს დეფიციტს, ანუ რისი გაკეთება არ შეუძლია ინდივიდს, როგორ ხდება უნარშეზღუდულობის ხარისხის განსაზღვრა.

უნარშეზღუდულობა ქცევის და მონაწილეობა- ჩართულობის შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ნორმას, ნომა ან ნორმიდან გადახრა , ამ ორი ტერმინის ფარგლებში ხდება უნარშეზღუდვის შესახებ საუბარი, სპეციალისტები ხშირად დარღვევების

განსხვავებულობაზე აკეთებენ აქცენტს და მედიცინა მიმართულია ეგრეთწოდებულ სეგრეგაციაზ ანუ ბავშვების განაწილება - დახარისხებაზე , ეს ხშირად ხდება არა იმ მიზნით , რომ მოხდეს ბავშვის ადეკვატური დახმარება , არამედ იმისთვის ,რომ გარკვეულ; კატეგორიას მიეკუთვნოს. დღესდღეისობით სიტუაცია არც იე მარტივად არის, ვინაიდან წმინდა სამედიცინო მიდგომა ნორმა ან ნორმიდან გადახრა გამოუსადეგარია. ასევე ყურადსაღებია ზენიჭიერი ბავშვები , რომლებიც ჩვეულებრივ ბავშვებთან შედარებით სხვაგვარი საგანმანთლებლო საჭიროება აქვთ , ასე რომ უნარშეზღუდულობის ორ ჯგუფს გამოყოფენ :

თვალსაჩინო უნარშეზღუდულობა და არათვალსაჩინო უნარშეზღუდულობა

პირველი მათგანი, თვალშისაცემია როგორც გსიქიკური ასევე ფიზიკური ნაკლოვანება და ინდივიდის ყოველდღიურ აქტივობასა და სწავლას აფრხებს,ამ ჯგუფში სედიან მოტორული დისფუნქციის მქონე მოსწავლეები, სმენის პრობლემების მქონე პირები ან გონებაჩამორჩენილი მოსწავლები, ხოლო რაც შეეხება მეორე ჯგუფს ამ შმთხვევაში ნაკლოვანება არ ჩანს, მსგავსი მოსწავლეების პრობლემის გამოვლენა ძალიან რთულია, რადგან ისინი გარკვეულ სტადიაზე მნიშვნელოვნად არ განსხვავდებაინ ჯანმრთელი ბავშვებისგან , შესაძლოა პრობლემამ თავი იჩინოს გარვეულ ვიტარებაში და სიტუაციაში , სანამ პრობლემა თვალით უხილავი რჩება იქამდე პრობლემები შეუმჩნეველი ხდება ფართო საზოგადოებისთვის. ამ ჯგუფის ინდივიდებს მიეკუთვნებიან მოტორული განვიტარების დარღვევის, დისლექციის , სწავლის უნარის დაქვეითების , მეტყველების განვითარების , ჰიპერაქტივობის სინდრომის და ემოციური აშლილობის მქონე ბავშვები.

თანამედროვე სკოლაში ბავშვთა ზემოთ აღნისნული სპექტრებით მოსწავლეთა მხოლოდ 5-7 % არის წარმოდგენილი, ხოლო მოსწავლეთა 15% -ი კი რისკის ჯგუფში შედის .



შესაბამისად ამისა, სკოლის მთავრ ამოცანაა ყველა ტიპის საჭიროების მქონე მოსწავლის საგანმანთლებლო მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება და მათ აღზრდა- ჰანათლებაზე ზრუნვა , სკოლაში სააღმზრდელო პროგრამები ისე უნდა იყოს განაწილებული, რომ გაითვალისწინოს მოსწავლეების ინდივიდუალური შესაძლებლობები , როგორც ფსიქიკური, ფიზიკური ,ჩვეულებრივი განვიტარებისა და საკუტრივ ზედმეტად ნიჭიერი მოსწავ;ლეები.

ამრიგად, როდესაც საუბარია ინკლუზიური განათლებსი რაობაზე , გათვალისწინებული უნდა იქნას , რომ ტერმინი ‘’სრული ინკლუზია’’ აბსტრაქტული ცნებაა , ხოლო აუცილებელია შეფასდეს თითოეული მოსწავლე კონკრეტული საჭიროებებით და განისაზღვროს სასურველი სასწავლო გარემო , ბავშვისთვის ადეკვატური ,სწავლისადმი ხელშემწყობი , რეჟიმის გათვალისწინებით, მოსწავლის კლასში სწავლება თვითმიზანი არ არის, არ უნდა მოხდეს ბავშვის ინტერესებისა და კლასის საზიანოდ.

ინკლუზია ჯგუფის ცხოვრებაში და გუნდურ მუშაობაში აქტიურ თანამონაწილეობას ნიშნავს ,თუ რამდენად მიიღეს ბავშვი ჯგუფში და რამდენად ჩართულია სასწავლო პროცესში.როგორც ზემოთ აღვნიშნეთ , ინკლუზია ნიშნავს ჯგუფის ცხოვრებაში აქტიურ ინტეგრაციას, თუ რამდენად მიიღეს ბავშვი ჯგუფში , რამდენად ჩართულია იგი ჯგუფურ მუშაობაში . მოსწავლე შეიძლება ჩაერთოს ჯგუფის ცხოვრებაში როგორც ორგანიზებული, ასევე თავისუფალი აქტივობისას. ინკლუზიური განთლების მიზანი არამხოლოდ სასწავლო პროცესში ჩართავაა , არამედ მოსწავლის თანატოლებთან მეგობრობა, ურთიერთობა, ტოლერანტობა, დახმარება, და ა.

ვინაიდან ინკლუზიური განათლება ფართო ცნებაა მას გააჩნია სხვადასხვა სახეები , ესენია: სრული ინკლუზია , ნაწილობრივი ინკლუზია და ინტეგრირებული სწავლება.

სრული ჩართვა - ეს ნიშნავს, იმას რომ განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სრულად არის ჩართული სასწავლო პროცესში , რომ იგი ესწრება უკლებრივ ყველა გაკვეთილს ,ხოლო ამ გაკვეთილებისთვის აქვს სპეციალური ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

ნაწილობრივ ჩართვა- ეს ნიშნავს , იმას რომ განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლე არჩევითად ესწრება სასწავლო პროცესს , ანუ მოსწავლის უნარებიდან გამომდინარე ,მსგავსი საჭიროების მქონე მოსწავლისთვის იქნება სპეციალური საგაკვეთილო ცხრილი . ამგვარი ჩართულობა ყველაზე მოქნილი სწავლების ფორმაა,

ინტეგრირებული სწავლება- ეს ნიშნავს, იმას რომ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეები გაერთიანებულნი არიან ერთ კლასში და სწავლობენ მათთვის განკუთვნილი სპეციალური სასწავლო გეგმით, ინტეგრირებული კლასის მოსწავლეები ესწრებიან სასკოლო აქტივობებს ,ზეიმებს, გამოფენებს ,ექსკურსიებს და სხვადასხვა აქტივობებს .

1.2 ინკლუზიური განათლების პრინციპები

ინკლუზიური განათლების დასანერგად საჭიროა მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება, გარემოს ადაპტირება , სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანა. ამისთვის გასათვალისწინებელია

ინკლუზიური განათლების პრინციპის დაცვა, შესაძლებლობების მიუხედავად ყველა ბავშვმა ერთ საკლასო ოთახში უნდა ისწავლოს, , სსმ საგანმანთლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებმა უნდა მიიღონ დამატებითი მხარდაჭერა , რაც გამოადგებათ ეფექტური განათლების უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებული სსმ საჭიროებების მქონე მოსწავლეთა განათლება სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია, საქართველოში და საძრვარგარეთის ქვეყნებშიც არსებობს სპეციალური სკოლები ,რომლებსაც კარგად ჩამოყალიბებული სისტემები აქვთ, მსგავსი სახის სკოლებს შეუძ Ƀათ ღირებული რესურსების წარმოჩენა ინკლუზიური სკოლებისთვის , ამ სპეციალური სკოლების თანამშრომლებო და მასწავლებლები ფლობენ კონკრეტულ ჟესტური ენის და ბრაილის შრიფტის ცოდნის განსკუთრებულ უნარებს

ინკლუზიური განათლების პრინციპების მიხედვით : თითოეულ ბავშვს უნდა ჰქონდეს სწავლის შესაძლებლობა , ბავშვები კარგად სწავლობენ ,როდესაც ერთად სწავლობენ, საჯარო სკოლები აღიარებენ და რეაგირებენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მოთხოვნებზე, პროგრესი დამოკიდებულია ბავშვის ინდივიდუალური ძლიერი მხარეების გამოყენებაზე და არა აღქმული დეფიციტების ხაზგასმაზე, მინიმუმამდე დაიყვანოს გარემოში არსებული პრობლემები.

ინკლუზიური განთლების უპირველესი პრინციპია მიდგომის ჩამოყალიბება ,რომელიც გულისხმობს იმას , რომ სწავლა- განათლების მიღება შეეძლება განსაკუთრებული შესაძლებლობების ბავშვებს, ხოლო შემდგომი პრინციპია ის რომ, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე ჩაირიცხოს ასაკის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო კლასში, მაქსიმალური დასაშვები ასაკობრივი განსხვავება შეიძლება დაიშვას 2-3 წელი, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის კლასში ყოფნა არ ნიშნავს ავტომატურ ინკლუზიურ განათლებას, ეს მეტად კომპლექსური პროცესია და ითვალისწინებს , სპეციალურ მიდგომებსა და სასწავლო გეგმას და საგანმანათლებლო რეფორმის გეგმის იმ დონეზე შესრულებას, როდესაც სრულად კმაყოფილდება მოსწავლის შესაძლებლობა და უნარები გაწერილი გეგმის მიხედვით. საგანმანათლებლო სივრცეს ეკისრება მოვალეობა ,რომ სრულად აღმოფხვრას არსებული ბარიერები ,რაც იმთავითვე ექმნება სასწავლო პროცესში ასევე სოციალურ ინტერაქციაში, და ბოლოს სკოლა ქმნის გარემოს, რომელიც თითოეულ მოსწავლეს

აძლევს საშუალებას საკუთარი პოტენციალის გამოვლენის. ინკლუზიური განათლება ყურადღებას ამახვილებს მოსწავლეების ინდივიდუალურ უნარებსა და სწავლის სტილზე ,ხოლო ამ მიზნით ეროვნულ სასწავლო გეგმას მოსწავლეს არგებს , ამის შესაბამისად ინკლუზიური განთლების უმთავრესი იარაღია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ინკლუზიური განათლება განსხვავების პატივისცემაა, იმ ადამიანების მიღება , ვინც განსხვავებულად გამოიყურება , მოქმედებს, ფიქრობს თუ საუბრობს, ინკლუზია ნიშნავს, თანაცხოვრების და თანამონაწილეობის სწავლას, ერთობლივად კეთებას, გუნდურად , რადგან ძალა ერთობაშია, სასწავლო პროცესში ყველა მოსწავლის ჩართვა , ინკლუზიური განთლების პრინციპი არ არის იარლიყის მიწებება, პირიქით გათავისუფლება საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპებისგან, არ არსებობს ტერმინი ‘’ ინკლუზიური ბავშვი’’ - ეს სრულიად მიუღებელია, ინკლუზია თვით პროცესია და რეალიზება როცა ადამიანი თავს ჯგუფის სრულუფლებიან წევრად გრძნობს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მართვაში წარმოდგენილი პრინციპების დაცვა უზრუნველყოფს , მთელი სკოლისა და ინკლუზიური განთლების ეფექტურ მართვას, აღნიშნული პრინციპებია:

1. სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ზოგადი განათლების მიღების უფლებას , სასკოლო ცხოვრებაში არ დაიშვება არანაირი დისკრიმინაცია , იგი არ უარყოფს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში მიღებაზე უარს.
2. სკოლის ადმინისტრაცია სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებას , მასზე მორგებული სპეციალური საგანმანათლებლო გეგმის მეშვეობის.
3. სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საგანმანათლებლო სივრცის ინკლუზიური განათლების კოორდინატორით, ეს პირო შეიძლება იყოს დირექციის წევრი ,მშობელი ან მასწავლებელი. კოორდინატორის უფლება-მოვალეობაში შედის ის, რომ მას ევალება აკონტროლოს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა დასწრებადობა, ჩართულობის ხარისხი , მათი სასწავლო აქტივობებში ჩართვა, სასურველია ინკლუზიური განათლების კოორდინატორი იყოს სამეურვეო საბჭოს წევრი, რაც არსებულ პრობლემებს

აღმოფხვრის სკოლის დირექციასთან, მშობლებთან და მასწავლებელთან ერთად.

4. სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეზე ვალდებულია სკოლა , რომ ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებზე დაყრდნობით ,სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვროს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის განათლების მიღების მექანიზმები, ესენია: ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ადაპტირებული სასწავლო პროგრამები, სპეციალური საგაკვეთილო განრიგი .დამატებითი ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობები, ასევე სკოლამ უნდა მოახერხოს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწორად და ადეკვატურად შეფასება , მათი შესაძლებლობებისა და უნარების მიხედვით.

1.3 ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი სასწავლო გარემო

სკოლაში ინკლუზიური განათლების წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია, პირობების დაცვა ,ესენია: სწავლისადმი და მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა .

ინკლუზიური კლასის ორგანიზებისას პირობითად შესაძლებელია გამოიყოს სამი სფერო:

1. ინკლუზიური კლასის ორგანიზაცია :
   . ფიზიკური გარემო;
   . კლასის რუტინა და პროცედურები.
2. ქცევის მართვის სტრატეგიები;
3. სწავლის სტრატეგიები დამხმარე საშუალებების გამოყენება და მოდიფიკაცია.

   ინკლუზიური კლასის ორგანიზაცია ნიშნავს , საკლასოგარემოს ადაპტირება სასარგებლოოა ყველა მოსწავლისთვის , მაღი უნარბის და შსაძლებლობების მიუხედავად, რაც შეეხება ფიზიკურ გარემოს, იგი მნიშვნელოვნად მოქმდებს მოსწავლსი სწავლასა და სასკოლო აქტივობებეში ჩართვაზე, სპეციალური საჭიროების მოსწავლისთვის მოთხვოვნებზე დაფუძნებული და მორგებული გარემო, რაც შეიცავს დამატებით საკალსო ვიზუალიზაციას, აკუსტიკურ

ცვლილებებს, ნიშნულების დამატებას, მერხების სწორად განლაგებას , რაც მოსწავლეებზე დადებითად მოქმედებს და მოსწავლე თვას არ გრძნობს უცხოდ აუცილებლად გასათვალსიწინებელია ის ფაქტი ,რომ განსკუთრებული საჭიროების მოსწავლეებისთვის შექმნილმა სტანდარტულმა გარემომ ცვლილებები განიცადოს, ვინაიდან შესაძ ₾ა ახალი ინდივიდუალური შემთხვევაც მოხდეს და ცვლილებების მოდიფიცირება გახდეს საჭირო.

უპირველს ყოვლისა, საჭიროა საკალსო ოთახის ადაპტირება , სპეციალური საჭიროების პითათვის, აუცილელებია იყოს მოქნილი სივრცე.

სივრცე - საკლასო ოთახში გამოყოფილი უნდა იყოს სივრცე მოსასვენებლას, ეგრეთწოდებული მშვიდი კუთხე , თუ მოსწავლე თავს არაკომფორტულად იგრძნობს განმარტოვდეს.

დილემა ფიზიკური შეზღუდვების მქონე მოსწავლეთათვის- გადაადგილების პრობლემების მქონე მოსწავლეს უჭირს თავისუფალი გაფდაადგილბა კიბეებზე, გეძელ დერეფგნებში , შეიძლება დაბალი ზღურბლიუც კი გადაულახავი გახდს მათთვის, ამიტომ ადმინისტრაციამ უნდა გაითვალსიწინოს სასეკურების სიმაღკლე, კარის სიმძიმე და დერეფნები.

ნიშნულები- სპეციალურად შექმნილი ნიშნულები მნიშვნელოვან დახმარებას უწევს გზის გასაკვლევად მოსწავლეებს, ვიზუალური ნიშნები ,სურათების მეშვეობით ჯერ კიდევ დაბალი კლასის მოსწავლეებს გაუადვილდებოდათ გადაადგილება, ხოლო დისლექციის მქონე ბავშვს სათანადო დახმარებას გაუწევდა. ნიშნულების სხვდადსხვა სახეები არსებობს, ესენია: შესაბამისი აქტივობების გამომსახველი სურათები, მიმართულების ამსახველი ნიშნები, წარწერები, ხმოვანი ნიშნები კედლებზე,რაც გამოსცემს ხმას , ხოლო ხაზები კედლებზე ,რომლითაც მოსწავლე გადაადგილების პროცესში ისარგებლებს. ნიშნულების რომ აღიჭურვოს სასკოლო გარემო, გასათვალისწინებელი ფაქტორია ცარიელი სივრცის ეფექტი, ნიშნულთა განლაგება და დიზაინი, ცარიელ სივრცეში ორიენტაცია უფრო რთულია , შედეგად ამისა, მოსწავლე სესაჭიროება დამატებითი აქსესუარები და საგნები, რაც შეეხება ნიშნულთა განლაგებას ,აუცილებლად ოპტიმალუტრად უნდა იყოს განსაგებული, ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული ნიშნულტა სიმაღლე,რადგან თითოეულმა

მოსწავლემ შეძლოს მიწვდეს და მათი საშუალებით გაიკვლიოს გზა და ბოლოს, ნიშნულთა დიზაინი კარგად უნდა ასახავდეს ურთიერთსაპირისპირო აზრს ,ასევე ნახატის სიმარტივეც გასათავლსიწინებელია, ზედმეტად მკვეთრმა სურათებმა შეიძლება უფრო დააბნიოს და შეაშინოს მოსწავლე.

კარგი განათება და ფერთა სწორად შერჩეული გამა მნიშვნელოვანია საკლასო აქტივობის ჩასატარებლად, მიზანშეწონილია, რომ საკლასო ოთახში გარკვეული ადგილები იყოს მინიმალურად გამაღიზიანებელი, კედლებიდან უნდა მოიხსნას ზედმეტი პოსტერები, სურათები და პლაკატები. განათება აუცილებელია სმენადაქვეითებული მოსწვალბისთვსი,მასწავლებლის სახე კარგად უნდა ჩანდეს, რომ მოსწავლემ ტუჩების მოძრაობით მიხვდეს თიუ რა ინფორმაციას აწოდებს პედაგოგი ბავშვებს, განათების ფერები ზოგიერთი ამშვიდებს , ზოგიგიც კი აღაგზნებს ბავშვბეს, სასურვეულია ნეიტრალური განთებია უზრუნველყოფა, განთება არ უნდა იწვევდეს ანარეკლებს, ჩრდილებს, თავიდან უნდა იქნას არიდებული ზედმეტი სიკაშკაშე და სიჭრელე.

დამხმარე საშუალებები და ინვენტარი- კომფორტული და ფუნქციური ავეჯი მოსწავლეებს საგანმანათლებლო აქტივობებში და საკლასო ცხოვრებსი წარმართვაში სეუწყობს ხელს, მეტად მნიშვნელოვანია , ის რომ მერხები და სკამები ხსვადასხვა ასაკის მოსწავლეებზე ზომებს შესაბამებოდეს, რათა არ მოხდეს ხერხემის გამრუდება, ავეჯის შსარჩევად უნდა იქნას გათვალსიწინებული : ავეჯის გარე ვიზუალი, დიაზაინი სპეციალური საწიროებების მიხედვიტ, მათი განლაგებამ,ხარისხი და გამძლეობა, ავეჯის კიდეების უსაფრთო გვერდები. ფაქტია, ინკლუზიური განთლების განსახორციელებლად აუცილებელია სკოლისა და საკლასო ოტახის აღჭურვა სპეციფიკური მახასიათებლებიტ, რაც მნშვნელოვანი ფაქტორია მოსწვალის აკადემიური ხარისხის, სწრებადობის გაზრდისთვის, გარმო ხელს უწყობ სმოსწავლის მოტიცავიის ამაღლებას და სტიმულს აძ ₾ვს თანატოლებს უფრო მეტი ისწავლონ , იმ გარემოში, სადაც მათი აზრი, მდგომარეობა გათვალიწინებულია.

სწავლისადმი და მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა სკოლის , როგორც საგანმანათლებლო სივრცის ერთ- ერთი უმთავრესი ამოცანაა, იმისთვის, რომ მოსწავლეს გააჩნდეს შესაბამისი პირობები და გარემო განათლების მისაღებად ,ამისთვის სხვადასხვაგვარი საგანმანათლებლო პროგრამა არსებობს, მათ შორის

უმნიშვნელოვანესი და მრავალფეროვანი ინკლუზიური განათლებაა, რაც გულისხმობს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის თანატოლებთან სასწავლო პროცესში ჩართავს, საკუთრივ დეფინიცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე თავის თავში მოიაზრებს ბავშვს ,რომელსაც აქვს სირთულეები სწავლაში და საჭიროებს ეროვნული სასწავლო კურუკულუმის მოდიფიკაციას, შეცვლას ან რედაქტირებას, 2006 წლიდან ინკლუზიური სწავლების დანერგვა მხოლოდ სკოლებში მიმდინარეობდა , ხოლო 2013 წლიდან ინკლუიზური განათლების დანერგვა კოლეჯის საფეხურამდეც მივიდა ,2015 წლისთვის იგეგმებოდა სკოლების კეთილმოწყობა სპეციალური საჭიროების პირთათვის ,თუმცა ეს პრობლემა ისევ მოუგვარებელია ბევრ სკოლაში არ არის პანდუსები ,რისი მეშვეობითაც ეტლით მოსარგებლე მოსწავლები მარტივად შეძლებდნენ გადაადგილებას, ასევე ბევრ სკოლაში არ მუშაობს სპეც, მასწავლებელი ,რაც სწავლების ხარისხს დაარეგულირებდა, წლების მანძილზე სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვები გარიყულები იყვნენ და არ ქონდათ კონტაქტი თანატოლებთან, ეს თავისთავად იწვევდა მძიმე სოციალურ აშლილობასა და საკუთარ თავში ჩაკეტვას, რაც ნებისმიერი პიროვნების ფსიქიკაზე აისახება. ხშირია საზოგადოების მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულება, რაც უფრო ამწვავებს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის ფსიქოლოგიურ ფონს , სასწავლო პროცესი და გარემო ნაკლებადაა მორგებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებზე ,ნაკლებია მშობელთა და მასწავლებელთა როლის ინტეგრაცია, ზოგიერთი მშობელი საერთოდ არ არის ინფორმირებული ბავშვთა უფლებებზე, რომ თავის შვილისაც შეუძლია საგანმანათლებლო სკოლაში სწავლა და თანატოლების გვერდით სწავლის პროცესში ჩართვა, ამ მხრივაც საჭიროა ცნობიერების ამაღლება.

სასწავლო გარემო უნდა პასუხობდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

. სკოლას უნდა გააჩნდეს სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადვილად მისაწვდომი შესასვლელები ეგრეთწოდებული პანდუსები ;

. სასკოლო საპირფარეშო უნდა იყოს კეთილმოწყობილი სპეციალური შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის;

. სკოლას უნდა გააჩნდეს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო წყალმომარაგება და ჯანსაღი საკვები უნდა მიეწოდებოდეს მოსწავლეებს;

.სკოლას უნდა გააჩნდს მოსწავლის საჭიროებების შეფასების პროცესში , მასწავლებლის დამხმარე პერსონალის , მშობლებისა და ბავშვების ერთობლივი გუნდური მუშაობისთვის განკუთვნილი პროცედურები;

. სკოლაში აქცენტი უნდა კეთდებოდეს გუნდურ მუშაობაზე;

. სკოლას უნდა გააჩნდეს ჯანდაცვის სამსახურებთან უშუალო კავშრი, რათა შემოწმდეს ჯანმრთელობის მდგომარეობა პერიოდულად;

ეფექტური საერთო სასწავლო გარემო:

ინკლუზიური სწავლებისადმი კეთილგანწყობილი გარემო ბავშვებისთვის მეტად სასრგებლოა, გარემოში ბავშვები ხდებიან უფრო მეტად თავდაჯერებულები, უნვითრდებათ მაღალი თვითშეფასება, დამოუკიდებლობის განცდა, რაც მათთვის მნიშვნელოვანია, როგორც სკოლის კედლებს შიგნით ასევე გარეთ, უშუალოდ ყოველდღიურ ცხოვრებაში, არ უჭირთ ურთიერთობა იმ ბავშვებთან,რ ომლებიც განსხვავებულები არიან სხვადახვა ნიშნით, ადაპტირებენ სხვადასხვა გარემოში. მოსწავლისთვის კეთილგანწყობილი გარემო ხდება უპირატესი,ვინაიდან ბავშვი ხდება მეტად კრეატიული , სწავლის დონე უმჯობესდება , მოსწავლეებია ფასებენ მშბლიურ ენას, კულტურას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია პასტივისცემით ეპყრობიან ერთმანეთის უფლებებს.

თითოეულ მოსწავლეს საშუალება უნდა ქონდეს სრულად მიიღოს მონაწილეობა სასწავლო პროცესში, რომელიც შექმნილია თითოეული მოსწავლისათვის თანატოლებთან ერთად, აუცილებლად უნდა სუფევდეს პოზიტიური ატმოსფერო ,მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლის პროგრესი ,შესაბამისი პირადი, სოციალური ,ემოციური და აკადემიური მიზნებისაკენ. საჭიროა გათვალისწინებული იქნას მოსწავლის საჭიროებები და უნარები ,სწავლება მოხდეს პრაქტიკასა და პრინციპებზე დაყრდნობით საერთო სასწავლო გარემო ეს არის ინკლუზიური გარემო, სადაც სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს შერეული უნარების მქონე სტუდენტებს და მათი თანატოლების ჯგუფს საგანამნათლებლო სკოლაში,

ხოლო რეაგირებენ მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ინკლუზიური განათლების სკოლაში დანერგვისთანავე, იგი სასკოლო ცხოვრების შემადგენელი ნაწილი ხდება, ყველა პროცესი ერთიანდება , ერთიან სივრცეში ,რაც სკოლაში მიმდინარეობს და ეწოდება სასკოლო ცხოვრება, ეს ყველაფერი გავლენას ახდენს ინკლუზიურ განათლებაზე და პირიქით, სკოლა სწორად დაგეგმილი სასწავლო მართვის პირობებში , ქმნის შესაბამის პირობებს ,რათა დაკმაყოფილდეს თითოეული მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროება, რათა მოსწავლეები განვითარდნენ თავიანთი უნარების შესაბამისად. აღნიშნულის მიღწევა ხდება მაშინ, როდესაც მთლიანი სკოლა ,მასწავლებლები, დირექცია ,სკოლის ადმინისტრაცია ,მშობლები ,მოსწავლები ამ საერთო მიზნის მიღწევაში იღებენ მონაწილეობას, საერთო მიზნები და თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინკლუზიური განათლების ინტეგრაციისთვის, რაც მოითხოვს ღრმა ანალიზსა და სწორ ორგანიზებას. რესურს ოთახი ეს, არის სკოლაში არსებული სპეციალური ოთახი ,რომელიც აღჭურვილია ყველა იმ ხელშემწყობი, აუცილებელი ტექნიკური თუ ვიზუალური ხელსაწყოებით,ადაპტირებული ავეჯით,თვალსაჩინოებით . რესურს ოთახს ემსახურება ფსიქოლოგი , თერაპევტი, და ყველა ის მასწავლებელი , ვინც მონაწილეობს სსსმ მოსწვალის განათლების მიღების პროცესში. რესურს ოთახში სწავლა მიმდინარეობს სპეციალური საგანმანათლო გეგმით.

1.4 სკოლის ისგ ჯგუფის და მულტიდისციპლინური გუნდის თანამშრომლობა

სპეციალური საჭიროების მოსწავლის საგანმანთლებლო სფეროში განათლების მიღება , სასწავლო პროცესის გაგეგმვა , განხორციელება საკმაოდ რთული პროცესია , ამ პროცესში პასუხისიმგებლობა ეკისრება თითოეულ პედაგოგს, სკოლის დირექციას, მოსწავლის მშობლებს , ფსიქოლოგს , ასისტენტს და გარემოს , რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სსსმ მოსწავლის განვითარებისთვის.

მშობლის როლი: ინკლუზიური განათლების წარმატების განსახორციელებლად მხოლოდ პედაგოგების თავდაუზოგავი შრომა და სკოლის დირექციის ხელშეწყობა როდი კმარა, არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი აკისრია მშობლებს , სკოლაში ინკლუზიური განათლების წარმატებით ინტეგრაციისთვის სასიცოცხლოდ

აუცილებელია როგორც სკოლის მოსწავლეების, ასევე მშობლების მზაობა და ინფორმირების გათვალისწინება, აუცილებელია პედაგოგებსა და მშობლებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბება, ეს სინამდვილეში ნიშნავს მშობლებთან პარტნიორობასა და მათ მნიშვნელოვნად თანამონაწილეობას ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში. კომუნიკაცია ეფექტური სასწავლო პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია განათლების სისტემა კი ემყარება კომუნიკაციას , რაც უშუალოდ აუცილებელს ხდის პედაგოგს განავითაროს საკომუნიკაციო უნარები. კომუნიკაციის პროცესი გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას , ეფექტური კომუნიკაციისთვის არ არის მნიშვნელოვანი თუ რას ვამბობთ მთავარია მსმენელი სწორად იგებდეს და ადრესატამდე სიზუსტით მიდიოდეს კომუნიკაციის პროცესი . რა საკვირველია მოსწავლეთა აკადემიური განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მშობლების ჩართულობა, მშობლებსა და პედაგოგებს საერთო ინტერესი ამოძრავებთ, ეს არის მოსწავლეების კეთილდღეობა და აღზრდა, ჩამოყალიბება სრულფასოვან პიროვნებებად, ამის მიუხედავად მშობლებთან კომუნიკაცია მაინც შემაფერხებელი ფაქტორია მასწავლებლებისთვის. როგორც წესი, მშობლებთან კომუნიკაცია სასკოლო კრებებისა და ღონისძიებების ფარგლებში ხორციელდება ფორმალური სახით, პრაქტიკულად კი, მშობლებსა და პედაგოგებს არ აქვთ დრო ინდივიდუალურად გამონახონ პირისპირ კომუნიკაციისთვის, მშობლებთან ეფექტური კომუნიკაცია კი მხოლოდ ინდივიდუალური შეხვედრების დროს მყარდება, უმნიშვნელოვანესია, რომ პედადოგი იცნობდეს თითოეული მოსწავლის მშობლებს, გააჩნდეს მათი საკონტაქტო დეტალები, ამყარებდეს მათთან სისტემატიურ კომუნიკაციას და აწვდიდეს მათ მნიშვნელოვან სიახლეებს მოსწავლეების შესახებ. ყოველდღიური ცხოვრებისეული რუტინა და სირთულეები აფერხებს ეფექტურ მონაწილეობას მშობლის სასწავლო პროცესში, ისინი ზრდასრული ადამიანები არიან და მათ გააჩნიათ ვალდებულებები და ადგილი საზოგადოებაში, მათთან კომუნიკაცია ამიტომაც არის რთული, ბოლო პერიოდში თავი იჩინა და საკამოდ პოპულარული გახდა ტერმინი „რთული მშობელი'' , ასეთი ტერმინით მოიხსენიებენ პედაგოგები ისეთ მშობლებს ,რომლებიც ფაქტობრივად არ ინტერესდებიან შვილის აკადემიური მოსწრებითა და წარმატებით, თუმცა საკმაო პრეტენზიები გააჩნიათ მასწავლებლების

მიმართ. პირველ რიგში, პედაგოგებმა უნდა შეიკავონ თავი ამგვარი სახელდებებისგან , ვინაიდან ეს ფაქტი უკვე უარყოფითად აისახება კომუნიკაციის პროცესზე, ამის მიუხედავად პედაგოგმა მაინც ყოველგვარი ღონე უნდა იხმაროს რათა დაამყაროს ფორმალური კომუნიკაცია მშობელთან, განსაკუთრებით კი რთულ მშობელთან ასეთ შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა გამოიჩინოს პროფესიონალიზმი , სწორი ტაქტიკა და მასწავლებლის პროფესიული ეთიკა. ასევე მნიშვნელოვანია კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმების გამოყენება.

შვილების სპეციალურ საგანმანთლებლო საჭიროებებთან დაკავშირებით მშობლები პრივილეგიების მქონე პარტნიორები არიან და მათი აზრი გათვალისწინებული უნდა იქნას , იმ სახის განათლების მიღებაში ,რაც საკუთარ შვილებს სურთ .

გამოყოფენ მშობლებისთვის ხუთ კრიზისულ მომენტს, რომლის დაძლევაც უწევს მშობლებს ესენია:

1.შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვის დაბადება;
2.შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვის თვითდამკვიდრების საჭიროება;
3.განათლების პროცესის დაგეგმვა;
4.გარდატეხის ასაკი;
5.ზრდასრული ასაკისთვის მზადება.

ასეთი ბავშვებისადმი დამოკიდებულების მიხედვით ,არსებობს მშობლების გარკვეული ტიპები , ესენია: ზედმეტად მზრუნველი მშობელი, უყურადღებო მშობელი, დაბნეული მშობელი და სასტიკი მშობელი.

ზედმეტად მზრუნველი მშობელი: ზოგჯერ შეზღუდული შესაძლებლობი, თუ ზრდასრული ადამიანი ზედმეტი მზრუნველობის ქვეს ექცევა, რაც ბავსვის ხასიათის ჩამოყალიბებაზე მოქმედბს , ეს რიგითი მიზეზია ბავშვის ჭირვეულობის, სიჯიუტის, პასიურობა, მომხდარი მოვლენების მიმართ უინტერესობა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სურვილის არ ქონა, თვითმომსახურეობის ჩვევების არ ქონა, თამაში და სხვადასხვა აქტივობების კეთების სურვილის არ ქონა.

უყურადღებო მშობელი: რომლებიც თავიდან იცილებენ ბავშვისადმი განსაკუთრებულ მზრუნველობას, ისინი ნაადრევად გამოიტანენ დასკვნას, რომ მათ შვილს არ შეუძლია ან ვერ შეძლებს საზოგადოებაში ნორმალურ ცხოვრებას. ეს რა საკვირველია აფერხებს ბავშვის სრულფასოვნად ჩამოყალიბებას და საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესს.

დაბნეული მშობელი :

ისინი ,ვინც სასოწარკვეთილნი ხდებიან , როდესაც ბავშვი განიცდის ყლაპვის, სირთულეს ,ვერ გამოხატავს ემოციებს ,შეშინებული მშობლები ვერ გამოხატავენ სითბოს და სიყვარულს და ეს ბავშვზე მოქმედებს, ვინაიდან არა აქვს მშობლებთან სრულფასოვანი კავშირი.

სასტიკი მშობელი: ზოგიერთი მშობელი , იმის მიუხედავად რომ, ბავშვს არ შესწევს უნარი შეასრულოს დავალებები ან სავარჯიშოები , მაინც მკაცრად ექცევიან და არ ითვალისწინებენ ბავშვის პოზიციას, ამ ყველაფრის ფონე მძიმდება ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რაც შეიძლება იყოს მიზეზი: ძილის დარღვევის , ენურეზის, კრუნჩხვა და კრთომები.

მშობლის როლი ზოგჯერ გადამწყვეტად მნიშვნელოვანია ,ოჯახის როლი და კეთილგანწყობილი გარემო რომ შეიქმნას მშობლებმა უნდა იცოდნენ: ბავშვის შესაძლებლობები, კორექციული მეცადინეობის ორგანიზება, ცხოვრებასთან უნარ-ჩვევების ორგანიზება და გამომუშავება. მშობლების მიერ უნდა მოხდეს ბავშვის აქტიური ჩართვა საოჯახო, ყოველდღიურ ცხოვრებაში, მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს იმ მიმართულებით, რომ ბავშვმა შეძლოს თვითმომსახურება დამოუკიდებლად ჭამა , ჩაცმა ,მას გააჩნდეს გარკვეული მოვალეობები, ჭურჭლის ალაგება , სუფრის გაშლაში დახმარება, ამ ყველაფრის ფონზე მას უჩნდება ინტერესი შრომისადმი, საკუთარი თავის მიმართ რწმენა, იგი საჭიროა, ამის შეგრძნება. ზოგიერთი მშობელი შეშინებულია, რომ ბავშვს დაუვარდება ჭურჭელი , გატეხს, ან არასწორად ჩაიცვამს და ამ შემთხვევაში მშობელია რ აძლევს ბავშვს უფლებას ეს დამოუკიდებლად გააკეთოს , თითქოს სირთულეებს აცილებს ბავშვს თავიდან , სინამდვილეში კი ბავშვი იჯერებს ,რ ომ არაფერი შეუძლია და იკეტება საკუთარ თავში, მშობლისთვის მოთმინება, ორგანიზებულობა და გამძლეობა მთავარი

პირობებია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის ადეკვატური თვითშეფასების უნარი ეხმარება მშობლებს სწორად შეაფასონ ბავშვის მცდელობები , აგრეთვე აღიქვას საკუთარი თავი ისეთად , როგორიც არის ამ შემთხვევაში წამყვანი როლი მშობლებს ეკისრებათ. მშობლებმა უნდა გაითვალისწინონ რომ, შეზღუდვა მისი პიროვნების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს , მან უნდა იცოდეს ეს არ არის სირცხვილი, მას აქვს უფლება იცხოვროს ბედნიერად დადებითი ემოციებით აღსავსე სამყაროში. რეგიონებში მშობლების ინფორმირების დონე საგრძნობლად დაბალია , უფრო მეტად ის მშობლები არიან ინფორმირებულნი, რომლებსაც შვილები დაყავთ არასამთავრებო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ დღის ცენტრში ან უბრალოდ თანამშრომლობენ არასამთავრებო ორგანიზაციებთან. ინფორმაციის არ ქონის გარდა , გაუარესებულია გადაადგილების პრობლემები , რეგიონებში მაგალითად გორში ასევე მშობლის სამსახური 9 საათზე იწყება, უბრალოდ ვერა ხერხებს მოსწავლსი სკოლაში მიყვანას, ასევე გადაადგილენა ძვირი სიამოვნებაა , ტაქსები ძვირი ღირს. ასევე სკოლის დამთავრების შემდგ მარნეულის მკვიდრები აღნიშნავენ , რომ მათ დასაქმების არანირი პერსპექტივა არ გააჩნიათ , ეს ყველაფერია რთულებს მოსწვლის ჩართვას სასკოლო სივრცეში და მშობლებს უფერხებს ჩართვას და ინტრეგრირებას მოსწავლის დასახმარებლად.

სპეციალური მასწავლებლის როლი- სასკოლო მუშაობას შესაძლოა ეწოდოს , როგორც დიდაქტიკური შეხვედრა, ადამიანებსა და დისციპლინებს შორის. არსებობს უშუალო კავშირი ამ შეხვედრის ხარისხსა და დონეებს შორის, რასაც მოსწავლეები ცოდნის მიღებით აღწევენ, რა საკვირველია ადამიანები საგნები ერთმანეთზე ურთიერთქმედებენ ანუ გავლენას ახდენენ. სკოლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ჰყავდეს კომპეტენტური ადამიანი , ფასილიტატორი - მასწავლებელი, რაც განთლების მიცემის პროცესს გახდის სწორს, მორგებულსა და მრავალფეროვანს, მასწავლებლის მთავრი მიზანია განავითაროს საზოგადოება , რომელიც ჰუმანურ იდეებზე აღიზრდება, მასწავლებლის პირადი უფლებაა ,პედაგოგიურ- პროფესიული უნარ-ჩვევები, რადგან მასწავლებელია ის ძირითადი საშუალება, რითაც სწავლების პროცესი წარიმართება. მათთან მოსწავლეებს ყველაზე მეტი კავშირი აქვთ, ეს ინტერაქცია უნდა ოყოს მკაფიოდ დაგეგმილი, რათა მომავალი თაობა ჯანსაღი და ნათელი გონების აღიზარდოს. სკოლის მასწავლებელი ვალდებულია გააჩნდეს

სასკოლო კურუკულუმი, სკოლის კანონით და რეგულაციებით დადგენილი, მშობელი კი გარანტიას იქმნის ,რომ საკტარი შვილი სკოლაში უსაფრთხოდ იქნება და მიიღებს განათლებას, ამიტომ არსებონს რიგი მოთხოვნები, მასწავლებელბისთვის დადგენიი ჩარჩოები და რეგულაციები, ამის და მიუხდავდ მასწავლებელმა მაინც უნდა შეძლოს გამოავლინოს ინდივიდუალური ხასიათი ,პერსონალურობა ასეთ შემთხვევაში სკოლა რჩება ჩამოყალიბებული ,როგორც სისტემა. სპეციალური საჭიროების მოსწავლეებისადმი გულისხმიერი მოპყრობა, თითოეული მოსწავლისთვის თანაბარი განათლების მიღება . სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებსითვის ეფექტური სასწავლო გარემო დიდ როლს ასრიულებს სასკოლო პერსონალის დახმარების, გამომდინარე აქედან , პედაგოგი აუცილებლად უნდა ფლობდეს ინფორმაციას იმ რიგითი ფაქტორების შესახებ , რაც სპეციალური საჭიროების მოსწავლის ქცევისასა და დასწავლაზე. ეფექტური სასწავლო გარემო გულისხმობს გაკვეთილზე ყველა ბავშვის ჩართვას და არ მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების წინა პლანზე წამოწევა. კლასი ისე უნდა ორგანიზდებოდეს, რომ თითოეულმა მოსწავლემ შეძლოს მიიღოს მისთვსი საწირო ადეკვატური ცოდნა. სკოლასა და საკლასო ოთახთან დაკავშირებული ფაქტორებსი განსაზღვრა და მათ შესაბამის მოდიფიცირებას მასწავლებელს აძლევს უფლებას ეფექტურად მართსო სასკოლო პროცესი. აქ გარემოზეა საუბარი ეს მასწავლებლებთან

თავისუფლების სწორი დეფინიცია და გამოყენების პროცესი, მოქმედების სტილის შესარჩევად, ინდივიდუალურ სკოლაში სასკოლო გარემოს განვითარებისთვის გადამწყვეტი იქნება , მომავლის სკოლაში შესაძლოა, მოსწავლეების აქტიურობა გაძ Ⓑერდს და მასწავლებლის როლიც თავისთავად შეიცვლება, მასწავლებლის როლი ხელმძღვანელობის პრინციპით და პრობლემების გადაჭრით უფრო შემოიფარგლება ,ვიდრე აქტიური ლიდერობით, ხოლო დიდაქტიკური შეხვედრის ,დროს გადამწყვეტ ფაქტორს შეადგენს ურთიერთობებისდ ხარისხი, პედაგოგი კარგად უნდა იცნბდს საკუტარ მოსწავლეებს.ბავშვებსაქვთ უფლება მოუსმინონ ,როგორც სახლში ასევე სკოლაში, თუმცა მზარდ ყურადღებასა და ინტერესებს მასწავლებლის როგორც ლიდერის მიმართ თავისი საფუძველი გააჩნია, რათა თქმა

უნდა ს მნიშვნელოვანია რეფორმებისთვის, სპეციალური მასწავლებელი და მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობებია:

1. სწავლებისა და შესწავლის დაგეგმვა და ორგანიზება ;
2. მოტივაცია და მოსწავლეების მხარდაჭერა:
3.სასწავლო პროცესის მომზადება და მონიტორინგი;
4.სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა;
5.კონსულტაცია და უფლებათა გადაცემა;
6.კონფლიქტების გადაწყვეტა;
7.გუნდის და ქსელის აგება.

შეეძლებათ და ბეჯითად სწავლის მოტივაცია. ეს იმას ნიშნავს იმას, რომ მოსწავლის შეეძლებათ და ბეჯითად სწავლის მოტივაცია. ეს იმას ნიშნავს იმას, რომ მოსწავლის როგორც სხვა მრავალი ორგანიზაცია, სკოლაც მუდმივად უნდა მუშაობდეს განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რასაც ის იძლევა და დაინტერესებულია მოსწავლის სოციო-პიროვნული განვითარებით. სპეციალური მასწავლებელი გაგებულია, როგორც მასწავლებლის შესაძლებლობა, შექმნას პოზიტიური გარემო კლასში, დაამყაროს მშვიდობიანი ატმოსფერო , რომელშიც მოსწავლეებს მუშაობა შეეძლებათ და ბეჯითად სწავლის მოტივაცია. ეს იმას ნიშნავს იმას, რომ მოსწავლის დაინტერესება უნდა შეძლოს ურთიერთობით და ჩამოყალიბებას სასწავლო გარემოს მეშვეობით.

იდეალური პრაქტიკული საქმიანობაა პედაგოგისთვის იყოს ავტორიტეტული მასწავლებელი , რომელსაც აქვს მაღალი თვითკონტროლის და სითბოს გაცემის უნარი

ა მასწავლებლები მოსწავლისთვის ავტორიტეტეს წარმოადგენენ , ავტორიტეტული მასწავლებლები არიან უსაფრთხო და ჩამოყალიბებულნი , მოლოდინებს თავისი მოსწავლების მიმართ მარტივად გამოხატავნ , ასეთ მასწავლებლებს პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ მოსწავლესთან, თუმცა აუცილებლად დისტანციის დაცვის, მსგავსი ტიპის მასწავლებებლი არ ბრაზდება და არაფრის ეშინია , თუმცა მისგან მოითხოვება გრძნობების დამალვა ,რათა გავლენა არ მოახდინოს წესებზე და მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ავტორიტეტული მასწავლებელი უპირისპირდება ავტორიტატულ მასწავლებელს ,რომელსაც დაბალი თვითშეფასება აქვს და ნაკლებ სითბოს გამოხატავს , ასეთი ტიპის მასწავლებელი ხშირად ბრაზდება და ითხოვს მორჩილებას . ორივე მასწავლებლის ტიპი სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისგან ,თუმცა აუცილებელია მასწავლებელმა ნდობა უნდა მოიპოვოს, ამას შეძლებს მაშინ, თუ სწორად შეფასებს, შეაქებს, უნიკალურ ადამინებად თუ აღიქვამს მოსწავლეებს, ასევე მოსწავლეებში პოზიტიური მხარეების დანახვა კარგ ურთიერთობას ჩამოუყალიბებს მოსწავლეებთან , რაც სპეციალურ მასწავლებელს არსებითად სჭირდება.

კოლეგებთან თანამშრომლობა და გუნდის სრულუფლებიან წევრად გრძნობა, ეხმარება სპეციალურ მასწავლებელს გადასაჭრელი სირთულეების გადალახვაში, აუცილებელია გუნდთან ხშირი კონტაქტი, ვინაიდან კოლეგების აზრის მოსმენა და გაზიარება არსებითად სასიცოცხლოა, გამოცდილება ეფუძნება იმას, რომ ჩვენ მასწავლებლებმა ნაკლები მარცხი განვიცადოთ და არ შეგვაშინოს რისკებმა და ექსპერიმენტებმა., ინდივიდუალურად მივუდგეთ ბავშვს როგორც მომავალ საზოგადოების სრულუფლებიან წევრს, სკოლასა და სახლს შორის თანმშრომლობისას მშობლები ან მეურვეები საუკეთესო კოლეგებად მოიაზრებიან , მათი შეხედულებები მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია ,აუცილებელია სწრებადობის კონტროლი და მიზეზები, მოსწავლის ხასიათის მკვეთრი ცვალბადობა, აღზრდის სისწორე. კარგი ურთიერთობა გაამტკიცებს მოსწავლის განვითარების პრობლემებს და მეტად თავდაჯერებულს გახდის ინდივიდს.

ფორმალური განთლების მთავრი მიზანია მოსწავლეების მომზადება მომავალი, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, სკოლამ , უმაღლესმა სასწავლებლებმა უნდა აღჭურვონ მოსწავლეები ცოდნით და უნარებით , რათა სრულფასოვანი ცხოვრების რიტმს არ აცდნენ, ამის შესაბამისად მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს არა მხოლოდ იმას თუ როგორ უმჯობესდება მოსწავლეების აკადემიური წარმატებები ,არამედ რამდენად ახერხებენ მოსწავლეები მიღებული განათლების პრაგმატულ რეალიზებას, მასწავლებელმა კარგად უნდა გაითავისოს ,რომ მოსწავლისთვის თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას ხელი შეუწყოს, ზოგჯერ პედაგოგები მიიჩნევენ ,რომ მოსწავლეს ეს უნარი თავისთავად უვითარდება, ეს რა თქმა უნდა არ არის ჭეშმარიტება და მოსწავლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება თითოეულ მოსწავლეში სხვადასხვაგვარად ხდება, სამწუხაროდ ხშირია შემთხვევები , როდესაც მასწავლებლები ფიქრობენ , რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს არ შეუძლიათ მასალის ათვისება, როგორ მათ თანატოლებს, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებს სჯეროდეთ იმის, რომ შესაძლებელია სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის აკადემიური წინსვლა და წარმატება, მასწავლებელს ევალება სხვა მოსწავლეებიც მოამზადოს კლასში სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის მისაღებად, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა მოსწავლის უნარებზე დაყრდნობით, ასევე მოსწავლეთა ქცევაზე დაყრდნობით , რადგან ინკლუზიური განათლება მაშინ არის შედეგიანი ,როცა მასწავლებლებს აქვთ განვლილი სპეციალური მომზადება, ისინი აღჭურვილნი არიან ადეკვატური ცოდნით და აქვთ სპეციალისტების მხრიდან მხარდაჭერა. რაც შეეხება სპეციალური პედაგოგს მან მონაწილეობა უნდა მიიღოს მოსწავლის აკადემიური უნარების შეფასების პროცესში, პედაგოგის კონსულტირება სწავლების მიდგომების ადა სტრატეგიების , სასწავლო გეგმის მოდიფიკაციის შესახებ , მოსწავლეებთან უნდა განახორციელოს დამატებითი მეცადინეობები, რათა შედგი იყოს სრულფასოვანი , პედაგოგის მხარდაჭერა კლასში გაკვეთილის მსვლელობისას, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის წევრებთან უშუალო თანამშრომლობა, მოსწავლეების მშობლებთან სისტემატიური კომუნიკაცია.

სსს მქონე მოსწავლის სწავლება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, გვერდს ვერ ავუვლით 2013 წლის 26 დეკემბრის საქართველოს გაერთიანებული ერების

ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებათა დაცვის კონვენციის რატიფიცირებას, რის შედეგადაც გაიზარდა შშმ პირებზე პასუხისმგებლობა და ვალდებულება, , საქართველოს მთავრობისთვის შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის მორგებული განათლება პრიორიტეტი გახდა, სკოლაში ინკლუზიური განთლების ხელშეწყობისთვის ერთ-ერთ ძირითად როლს სპეციალური მასწავლებელი ასრულებს, რომელიც ფლობს სწავლების მიდგომებს , მეთოდიკას, სწავლების საჭირო კომპეტენციებს , რაც იმას ნიშნავს რომ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე ჩაერთვება სასწავლო პროცესში და თანამონაწილე გახდება საგანმანთლებლო პროცესის. 2011 წელს შეიქმნა სპეციალური მასწავლებლის სტანდარტი ინკლუზიური განათლების სპეციალისტების გუნდის მიერ , ხოლო ამ სტანდარტით ხელმძღვანელობენ დღემდე მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრების სპეციალისტები . სპეციალური მასწავლებელი ვერ გახდება რეპეტიტორი, იგი სპეციალური საჭიროების მოსწავლეების განვითარებაზე მუშაობს .როგორც უკვე აღვნიშნეთ ინკლუზიური განთლება ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეების ჩართვას გულისხმობს.

სკოლის დირექციის როლი: ინკლუზიური კლასის ფორ ირებისთვის, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნაში დიდი როლი აკისრია, სკოლის მასწავლებელს სკოლის დირექციის გუნდთან ერთად, სასკოლო ადმინისტრაციის როლი ინკლუზიური განათლების ეფექტურად წარმართვისთვის განუზომელია, სასკოლო ადმინისტრაცია ირჩევს ინდივიდუალური სასაწავლო გეგმის კოორდინატორთა გუნდს ,აკადემიური სასწავლო წლის დაწყებიდან დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში უზრუნველყოს მოსწავლის სპეციალური სასწავლო გეგმით, სკოლის დირექცია უზრუნველყოფს სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგს, მოსწავლის სრული აღჭურვა საჭირო ნივთებით საჭიროების მიხედვით, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე პასუხისმგებლობა.

სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სწავლისადმი კეთილგანწყობილ გარემოს შექმნის მისია, გააჩნიათ რეგიონალური მდებარე სასკოლო ასაკის ბავშვების სრული სიები სკოლაში ჩართულობის მონაცემებით, ატარებს რეგულარულ

კამპანიებს მშობლებისთვის , რათა უზრუნველყოფილი იქნას თითოეული ბავშვის სასწავლო პროცესში ჩართვა, უზრუნველყოფს განათლების საერთაშორისო საკანონმდებლო მასალებს, ფლობს მაქსიმალურ ინფორმაციას სპეციალური საჭიროების მომუშავე მხარდამჭერთა ჯგუფებზე, სასკოლო ადმინისტრაციას კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული ინკლუზიური განთლების მნიშვნელობა, ითვალისწინებს მასწავლებლების საჭიროებებს, რაც მთავრია, გააჩნია დახმარების, ხელმძღვანელობის სრული მონიტორინგი .სკოლის ადმინისტრატორებს, პედაგოგებსა და მშობლებს შორის უნდა განვითარდეს კოოპერაციული მხარდამჭერი პარტნიორობა , რაც მოსწავლის აკადემიურ უნარებს განავითარებს. ინკლუზიური სკოლების განვითარება , რომელიც მიეწოდება მოსწავლეთა ფართო მრავალფეროვან მასებს ,როგორც სამოქალაქო , ისევე სასოფლო ადგილებში , მოითხოვს ინკლუზიური განთლების დეტერმინიზაციას, რათა სწორად იქნას მიწოდებული ინფორმაცია ,ცრურწმენებთან საბრძოლველად, დადებითი ატმოსფეროს შესაქმნელად , ორიენტაციისა და პერსონალით გადამზადება და მომარაგება ,ადგილობრივ ადმინისტრაციებს და სკოლის ხელმძღვანელობას შეუძლია მნიშვნელოვანი როლის თამაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის სათანადო სკოლების შექმნაში ,რომელიც იქნება აღჭურვილნი სათანადო პერსონალით , რომლებიც იქნებიან მობილიზებულნი საჭირო ცოდნითა და გამოცდილებით . სკოლის წარმატებული მენეჯმენტი დამოკიდებულია სპეციალური საჭიროების სათანადო ეფექტიანი თანამშრომლობაზე და გუნდური მუშაობის განვითარებაზე , სკოლის ხელმძღვანელობას სასკოლო ცხოვრებაში დადებითი დამოკიდებულება აქვს , ასევე კლასის მასწავლებლებსა და მხარდამჭერი პერსონალის ეფექტური თანამშრომლობის მოწესრიგების განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აქვს, სხვადასხვა პარტნიორების მხრივ სათანადო მხარდაჭერის მოწესრიგება და აკურატული როლი თუ როგორ უნდა გადაწყდეს კონსულტაციის და მოლაპარაკების გზით.

თითოეული სკოლა უნდა წარმოადგენდეს მოსწავლის წარმატებისა და წარუმატებლობის გუნდურ , პასუხისმგებლიან საზოგადოებას, არა, მხოლოდ მასწავლებელმა , არამედ მთელმა სასწავლო გუნდმა უნდა გაითავისოს აღებული პასუხისმგებლობა სპეციალური საგანმანათლებლო მოსწავლეების ინკლუზიურ

განათლებაზე, რათა მოსწავლეებმა მოახდინონ სასკოლო პროგრამით მიღებული განათლების ინტეგრაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში, რაც საკუთრივ უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ინდივიდის ჩამოყალიბების პროცესში.

ინკლუზიური განთლების ხელშემწყობი ფაქტორია სასკოლო პერსონალის სათანადოდო მომზადება ,ტრენინგ- კურსებით უზრუნველყოფა, ვინაიდან შეიძლება ისინი გახდნენ მოსწავლისთვის მისაბაძი ადამიანები.

სკოლის დირექციის როლი ძალიან მნიშვნელოვანია სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის , ვინაიდან დირეცქია ეხმარება ბავშვს ადაპტაციაში ,სასწავლო გარემოში გადაადგიებაში,წახალისებაში ,რომ მიიღონ სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობა მსგავსი უნარ შესაძლებლობების ბავშვებთან ერთად. სკოლის დირექციასა და მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული ინკლუზიური განათლების მნისვნელობა. დირექციის მოვალობაა ჩაატაროს სისტემატიური კამპანიები მშობლებისთვის ,რათა უზრუნველყოს ყველა ბავშვის სასწავლო პროცესში ჩართვა ,აგრეთვე დირექციას გააჩნია მის რაიონში მდებარე სასკოლო ასაკის ბავშვების სრული სიები მათი სკოლებში ჩართულობის მონაცემებით.ასევე გააჩნია ინკლუზიური, სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაში არსებული ხელშემშლელი დაბრკოლებებისა და მათი დაძლევის გზების ჩამოყალიბებული სია. სკოლის დირეციას სკოლის საზოგადოების ფარგლებში დადებითი დამოკიდებულების გამომწვევის , ასევე კლასის მასწავლებლებსა და მხარდანჭერი პერსონალის ეფექტიანი თანამშრომლობის მოწესრიგბის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აქვს.სხვადასხვა პარტნიორების მიერ სათანადო მხარდაჭერის მოწესრიგება და ზუსტი როლი საგანმანათლებლო პროცესში უნდა გადაწყდეს კონსტუტიციისა და მოლაპარაკებების გზით. თითოეული სკოლა უნდა იყოს თითოეული ბავშვის წარმატებისა და წარუმატებლობის კოლექტიურად პასუხისმგებელი საზოგადოება. არა ინდივიდუალურმა მასწავლებელმა , არამედ საგანმანათლებლო გუნდმა უნდა გაიზიაროს პასუხისმგებლობა სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლებაზე.სკოლის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მოხალისეებმა და მასწაველებლებმა. ასე ,თუ ისე მასწავლებლები , როგორც

საგანმანათლებლო პროცესის მენეჯერები , ტამაშობენ გადამწყვეტ როლს ბავშვების რესურსების , როგორც კლასში , ისე კლასის გარეთ გამოყენებაში.

ინკლუზიური განათლება მოიცავს სამი ტიპის მოდელს :

კონსულტირების მოდელი - მოდელი გულისხმობს სპეციალური მასწავლებლის აქტიურ მონაწილეობას მოსწავლის სწავლის პროცესში, სპეციალური მასწავლებელი მოსწავლეს ახალი უნარების დასწავლაში ეხმარება , ეს თავისთავად ითვალისწინებს ბავშვის შესაძლებლობებზე მორგებულ სასწავლო გეგმას ,სწავლეის შესაფერისი მეთოდების გამოყენებას ,მსგავსი მიდგომა უზრუნველყოფს ორი მასწავლებლით მოსწავლე, რომლებიც ხელს შეუწყობენ და დაეხმარებიან სწავლაში არსებული პრობლემების გადაჭრაში.

ჯგუფური მოდელი - სპეციალური განათლების მასწავლებელი ზოგადსაგანმნათლებლო მასწავლებელთან ერთად ადგენს ორკვირიან გეგმას, სპეციალური მასწავლებელი უზრუნველყოფს მასწავლებელს ინფორმაციით , სასწავლო სტრატეგიებით, აცნობს შეფასების შეფასების და ქცევის სტრატეგიებს. ისინი რეგულარულად ხვდებიან , რათა ახალი გეგმის შემუშავება მოხდეს , გადაიჭრას კლასში არსებული პრობლემები ,გეგმას ამუშავებს რამდენიმე ადამინი, თუმცა ახორციელებს ერთი პიროვნება ზოგადსაგანმანთლებლო სკოლის პედაგოგი, რადგან ის ატარებს გაკვეთილს.

თანამშრომლობითი მოდელი- მსგავსი მოდელის გამოყენებას ახორციელებენ ზოგადი განთლების და სპეციალური განთლების მასწავლებლები ისინი ერთდა მუშაობენ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებთან რეგულარულ საკლასო ოთახში, პასუხს აგებენ სასწავლო გეგმაზე , მოსწავლეების აკადემიური ხარისხის ზრდაზე , შეფასებასა და დისციპლინაზე , საკლასო ოტახში მოსწავლეები იღებენ ასაკის შესაფერის განათლებას , შეიძლება საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მიდგომებისა და სტრატეგიების შეცვლა .თანმშრომლობითი სწავლება სხვადასხვაგვარად არის ორგანიზებული , ეს იმაზეა დამოკიდებული თუ როოგრ ნაწილდება წინასწარ როლები მასწავლებს შორის .მოსწვალეებს ჰყავთ არა უმეტეს ორი მასწავლებლისა , რომლებიც მხარს უჭერენ და დახმარებას უწევენ სასწავლო პროცესში აქტიური მონაწილეობისთვის.

სასკოლო დირექცია განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში ჩასართავად , ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში , სკოლამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ხუთი ფაქტორი:

1. აკადემიური სარგებელი- აკადემიური მიღწევისთვის, რამდენად ეფექტურია ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლება;
2. არააკადემიური სარგებელი- რამდენად ეფექტურია ბავშვის მეტყველების განვითარების, კომუნიკაციის , სოციაალური განვიტარებსითვის საკაის შესაფერისი ქცევის ათვისება და მისი სწავლება საკლასო ოტახში;
3. კლასის ორგანიზება და მართვა- დროის ფაქტორია გასათვალსიწინებელი, თუ რა დრო სწირდება შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლის ყოფნას კლასში;
4. ხარჯები - რა ხარჯებია განკუთვნილი სპეციალური საჭიროების მოსწვალის კლასში ჩასართველად;
5. ბავშვის სპეციალურ კლასში ან სკოლაში განთავსებამდე რა ღონისძიებები და დახმარება იქნება განსახორციელი ზოგასსაგანმანათლებლო კლასში

   სკოლის ადმინისტრაციამ უნდა გაითვალისწინოს , ინკლუზიური განათელბის მოდელის დასანერგად ძირეული და საფუძვლიანი ცვლილებებია საჭირო , სწავლებისადმი მიდგომაში, სასწავლო სივრცის მოწყობაში , მასწავლებლისა და ადმინისტრაციის დამოკიდებულების პროცესში. სასწავლო სივრცის მოწყობა ეს ერთჯერადი პროცესი არ არის, მას სჭირდება რეგულარული ცვლილებები, ყურადღება უნდა გამახვილდს შემდგ საკითხებზე:

   - ზოგადსაგანმანთლებლო კლასის მასწავლებლის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის ეფექტიანი სწავლებისათვის;
   - ზოგადსაგანმანთლებლო კლასის მასწავლებლის დახმარება და მხარდაჭერა სპეციალისტის მიერ (სკოლის ფსიქოლოგი, სპეციალური განათლების მასწავლებელი);
   - ზოგადსაგანმანთლებლო კლასის მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის განწყობა და დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მათი საგანმანათლებლო საჭიროებების მიმართ;

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ჯანმრთელი ბავშვების ბავშვების მშობლებთან მჭიდრო ურთიერთობა და მათი გათვითცნობიერება ინკლუზიური განათლების სფეროში;
- სასწავლო მასალების, სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და ადამიანური რესურსების ადეკვატურობა, რაც აუცილებელია ეფექტიანი ინკლუზიური სწავლებისათვის;



ინკლუზიურ განათლებაში ჩართული მხარეები , სამიზნე ჯგუფები , რომელთა გადამზადების გარეშე შეუძლებელია ინკლუზიური განათლების პროგრამების განხორციელება. ვინაიდან სასწავლო პროცესის ძირითადი წარმმართველი მასწავლებელია , მისი როლი განუსაზღვრელია სასწავლო პროცესში, მასწავლებელმა უნდა შეძლოს მოსწავლის საჭიროების განსაზღვრა და იპოვოს დახმარების გზები.

1.5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

სიახლეს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ განათლება სკოლებში საერთო ეროვნული სასწავლო გეგმის მეშვეობით ხორციელდება, ეს გეგმა დამტკიცებულია განათლების სამინისტროს მიერ და მოიცავს ისეთ მოთხოვნებს , რაც ყველა მოსწავლისთვის ერთნაირია. დღესდღეისობით კი ყურადღება ექცევა მოსწავლის ინდივიდუალურ უნარებსა და უფრო პოპულარული ხდება სწავლების ის მიდგომები, რომლებიც

მოსწავლის საჭიროებებზეა ფოკუსირებული. სხვადასხვა ქვეყნებშია აქტიურად დაიწყო სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩართვა სასწავლო პროცესში და ამგვარ ფონს გამოეკვეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა , რაც თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებზე დაყრდნობით ,რაც ყველაზე ადეკვატურია კონკრეტული მოსწავლისთვის. პირველ რიგში, მსგავსი პროგრამა ძალიან ნაყოფიერია და უმტკივნეულო ,რათა მოსწავლე ჩაერთოს სასწავლო პროცესში , ხოლო მეორე მხრივ მოსწავლეს თავიდან ავარიდოთ მოლოდინები მშობლის, მასწავლებლის მხრიდან. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა საშუალებას გვაძლევს ზუსტად შევაფასოთ მოსწავლე და მისი ძლიერი და სუსტი მხარეები , შევადგინოთ ,მოსწავლეზე ორიენტირებული ადეკვატური გეგმა , ჩავრთოთ მოსწავლე და მშობლები სწავლების პროცესში და მოხდეს შეთანხმება რა უფრო მნიშვნელოვანია მოსწავლისთვის, მოხდეს სისტემატიურად შემოწმება , აქვს თუ არა მოსწავლეს პროგრესი , მივყავართ თუ არა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას დასახული მიზნისკენ და საჭიროებისამებრ მოვახდინოთ გეგმაში ცვლილებები.

წერილობითი სახის დოკუმენტს, რომელიც განკუთვნილია სპეციალური საჭიროების მქონე და არამხოლოდ სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის , რომლის მიხედვითაც სრულდება საგანმანათლებლო პროცესი და ასახავს საგანმანათლებლო საჭიროებებსა და რესურსებს ეწოდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. დოკუმენტი შექმნილია იმ მოსწავლეებისათვის , რომლებიც ვერ ახერხებენ სწავლას ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ასახულია მიზნები , რომლებსაც უდა მიაღწიოს მოსწავლემ დროის განსაზღვრულ პერიოდში. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა შედგება შვიდო კომპონენტისგან, ესენია: მოსწავლის ინფორმაცია და დეტალები, მოსწავლის ფუნქციონირების დონე, სასწავლო მიზნები, მისაღწევი შედეგები , სწავლების მეთოდები, გუნდის წევრების ვინაობა და შეფასების გეგმა და განრიგი. სპეციალური სასწავლო პროგრამა შეიძლება განვიხილოთ , როგორც ჯანსაღი პროდუქტი, რაც იგეგმება ინდივიდუალური სწავლების განხორციელებისთვის აქტიური და ცოცხალი პროცესის მისაღწევად, ხოლო ამ პროცესში უამრავი ადამიანი მონაწილეობს დაწყებული მასწავლებლებით , მშობლებითა და მოსწავლეებით დასრულებული. ინდივიდუალური გეგმის მთავარი პრიორიტეტი მოსწავლის უნარების ინტეგრირება

სასწავლო პროცესში, როდესაც ხდება სპეციალური საჭიროების მორგება უნარებზე დაქვემდებარებულად, სწორად რომ შეფასდეს ბავშვის საჭიროებები საჭიროა მოსწავლის უნარების იდენტიფიკაცია. ყოველი წლის დასაწყისში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება ერთი წლის ვადით და მასშია ისახება ის კონკრეტული მიზნები რისი მიღწევაც უნდა შეძლონ მოსწავლეებმა წლსი განმავლობაში, ზოგიერთი მოსწავლისთვის წლიური წლიური მიზნები , ძირითადად აკადემიურ სფეროებს, შეიძლება ეხებოდეს ,მაგალიტად: კითხვის გაუმჯობესება, მათემატიკური პრობლემის გადაჭრა და ა.შ, ინდივიდუალურ სასწავლო გგემაში ასახული პრობლემების გადჭრა უნდა იყოს რეალური და შესაძლებებლი.

მოსწავლე სპეციალური საჭიროების მქონედ ითვლება , როდესაც მას აქვს სწავლის უნარის დაქვეითება , ქცევის პრობლემები, აღზრდის არახელსაყრელი პირობები, ამის შედეგად მას სჭირდება სწორად შეფასება, გარემოს ადაპტირება . სპეციალური აღჭურვილობა , რესურსები , რათა მაქსიმალურად ჩაერთოს მსგავსი ხელშეწყობით სასწავლო პროცესში. ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური კანონის მიხედვით ბავშვი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლედ ითვლება, მაშინ როცა მას გააჩნია: შემეცნებითი სირთულეები, სმენის დაქვეითება, მეტყველების დაქვეითება , მხედველობის დაქვეითება ან სრული სიბრმავე, ემოციური უმართავობა, ორთოპედიული დარღვევები, აუტიზმის სპექტრი, თავის ტვინის დაზიანება, ზურგის ტვინის დაზიანება , დასწავლის უნარის დარღვევები, ყურადღების დეფიციტი , ჰიპერაქტივობის სინდრომი და ჯანმრთელობის სხვა სირთულეები და დარღვევები. გარდა ამისა, ინდივიდუალური გეგმის შემუშავება ხდება მაშინ როცა , ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სტრატეგიები არ არის ეფექტური და მოსწავლე ვერ გადის სასურველ შედეგზე, მოსწავლე იცვლის სკოლას, ხდება მოსწავლის ცხოვრებაში გარდატეხა , მას აქვს სტრესი, ემოციური ფონი , რაც მენტალურ ჯანმრთელობაზე აისახება, რა თქმა უნდა როდესაც პრობლება სახეზე გვაქვს მალევე ხდება რეაგირება და გეგმის შემუშავება , ხოლო ის პრობლემა ,რომლიც თა ს მოგვიანებით იჩენს ,ასე მაგალითად კითხვის უნარის დაქვეითება ხდება ეტაპობრივად. მთავრია დროული რეაგირება , რათა არ მივიდეთ მოსწავლის მენტალურ კოლაფსამდე.ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩამოყალიბებისთვის ასევე მთავარია დაისახოს კარგი მიზანი , გეგმაზე მუშაობისთვის საჭიროა მოხდეს

შეკრება ,რათა სპეციალისტების გუნდის მიერ შედგეს შეფასების შედეგების წარმოდგენა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მოიცავს რიგ ეტაპებს , ესენია:

. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის წევრების შეკრება და პრიორიტეტულ საკითხებზე მოლაპარაკება;

. მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების შეფასება;

. ინდივიდუალური სასწავლო გეგმისთვის საჭირო სამოქმედო გეგმიური მასალების დამუშავება;

. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მოდიფიცირების მონიტორინგი;

. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადაფასება.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესასრულებლად სასურველია შეიქმნას საჭირო სპეციალისტებით ,ასევე დაინტერესებულ პირთა საერთო ჯგუფი , მხოლოდ გუნდური მუშაობის მეშვეობით არის შესაძლებელი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის წარმატებით განხორციელება. მთავრი გუნდი ირჩევს ერთ ადამიანს , რომელიც საკუთარ თავზე აიღებს საორგანიზაციო საკითხებს , გუნდის მთავარი წევრი შეიძლება იყოს , მშობელი , ფსიქოლოგი ან მასწავლებელი.

1. მშობლის ან მეურვის , ბავშვის ან პედაგოგის პრიორიტეტული საკითხების დასმა ;
2. არსებული საკითხებიდან მთავრი საკითხების შერჩევა და გამოყოფა;
3. სამოქმედო გეგმის შემუშავება.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ადეკვატურია თუ ის მორგებულია საკლასო გარემოს, მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს, სასწავლო პროცესს კლასში და მარტივად გასაგებია მოსწავლისთვის.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მოდიფიკაციის ოთხ დონს გამოყოფენ, ესენია:

1. **სასწავლო გეგმის აკომოდაცია** - იცვლება სასწავლო მასალის მიწოდების ფორმები , გამოყოფენ ვიზუალიზაციას და ტექნიკურ მხარეებს

2. **სასწავლო გეგმის ადაპტაცია-** არ იცვლება სასწავლო გეგმა, თუმცა მსუბუქად იცვლება შინაარსი ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით.
3. **პარალელური სწავლება** - ამგვარი სწავლების დროს მნიშვნელოვნად იცვლება სწავლების ხარისხი და დონე, თუმცა ძირითადი შინაარსი იგივე რჩება , რაც სასწავლო გეგმაში.
4. **გადამფარავი სასწავლო გემა**- მასში იცვლება როგორც სასწავლო გეგმის ფორმა და შინაარსი, ასევე მისი სირთულის ხარისხიც, იცვლება როგორც საგნის შინაარსი ასევე თემატიკა .

   პედაგოგს აქვს უფლება შეცვალოს ან გაამარტივოს მასალა ან პირიქით, როგორც სპეციალური მოსწავლეებისათვის ასევე, ზედმეტად ნიჭიერი ბავშვებისთვის, ამგვარი ტიპის ცვლილებას **გაფართოება** ეწოდება.

II კვლევა აჭარის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში

კვლევა ჩავატარეთ აჭარის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებში ბათუმის

№11 №23 №7 №11 №2 №1 №26 №8, სოფელ ჭარნალის ,მახოს, ახალსოფლის , კაპრეშუმის საჯარო სკოლებში. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა აჭარის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი, საბაზისო და საშუალო კლასების მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები.

კვლევის განმავლობაში სულ გამოკითხული იქნა 342 რესპოდენტი აქედან 128 მოსწავლე , 116 მასწავლებელი და 98 მშობელი. კვლევა მოიცავდა სამ ეტაპს , პირველ ეტაპზე გამოკითხული იქნა საჯარო სკოლების მასწავლებლები, შემდეგ მოსწავლეები და ბოლოს მშობლები.



კვლევის პირველი ეტაპი - კვლევაში მონაწილეობა მიიღო დაწყებითი, საბაზისო და საშუალო სკოლის პედაგოგებმა.

კითხვარი მასწავლებლებისთვის:

- კითხვაზე - როგორ გესმით ტერმინი ინკლუზიური განათლება

, კითხვაზე 87%-მა სწორად გასცა კითხვაზე პასუხი, თუმცა დანარჩენი 13%ი თვლიდა , რომ ინკლუზიური განათლება მოიცავს უშუალოდ უნარშეზღუდული მოსწავლეების განათლების უფლებას, კონკრეტული პასუხები კი ასე გამოიყურება:



- კითხვაზე - აქვთ თუ არა უფლება ყველა მოსწავლეს მიუხედავად რაიმე უნარის შეზღუდვისა მიიღოს განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში

გამოკითხული მასწავლებლების 62 %-ი მიზანშეწონილად მიიჩნევს , რომ თითოეული მოსწავლე უფლებამოსილია, ეთნიკური, და პოლიტიკური უმცირესობების მიუხედავად თანაბრად ჩაერთონ სასწავლო პროცესს რეგულარულად.



- კითხვაზე - სჭირდებათ თუ არა სსს მქონე მოსწავლეებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

გამოკითხული მასწავლებლების 80 %-ი თვლის, რომ მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესის წარმართვისათვის ესაჭიროებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ხოლო 20% -ი უარყოფითად არის განწყობილი.



- კითხვაზე- რა ფორმით ამყარებთ მშობლებთან კომუნიკაციას

გამოკითხული მასწავლებლების უმეტესი ნაწილი კომუნიკაციას ამყარებს მობილური ხელსაწყოების მეშვეობით და ონლაინ რეჟიმში, თუმცა ზოგიერთი თვლის რომ - '' მე ძირითადად მაქვს შეხება მაღალ საფეხურზე მყოფ ბავშვებთან , რომლებიც ვფიქრობ, რომ ჩამოყალიბებული პიროვნებები არიან , ამიტომ მათ მშობლებთან ნაკლებად მაქვს კომუნიკაცია , გარდა აუცილებელი გარემოებებისა. უფრო ხშირად მობილურით და ტელეფონით".

- კითხვაზე - ახალისებს თუ არა სასკოლო დირექცია ისეთ მასწავლებლებს, ვინც ცდილობს მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული სასწავლო გეგმის წარმოებას

გამოკითხული მასწავლებლების კითხვაზე ახალისებს თუ არა სკოლის დირექცია ისეთ მასწავლებლებს , ვინც ცდილობს მოსწავლის უნარებზე დაყრდნობით მორგებული სასწავლო გეგმით იხელმძღვანელოს , 51%-მა უპასუხა პოზიტიურად, ხოლო 49%-მა ნეგატიური პასუხი გასცა.



- კითხვაზე- ინკლუზიური განათლება ნაყოფიერად ინერგება სკოლებში , გამოკითხული მასწავლებლების 20 %- მა უარყოფითად შეაფასა შეკითხვა , ხოლო 80 %-მა დადებითად



- კითხვაზე - როგორი წარმოგიდგენიათ სსსმ მოსწავლის ხელშემწყობი სასწავლო გარემო?

გამოკითხული მასწავლებლებმა ღია კითხვაზე , შემდეგი პასუხები გასცეს:

„ სადაც ყველა თავისუფლად და ყოველგვარი შიშის გარეშე აფიქსირებს საკუთარ აზრს. პირველ რიგში და საჭიროებისამებრ ეწყობა ხელი განათლებას, სადაც არ არსებობს ბავშვების დაყოფა : ეთნიკურ ან რაიმე სხვა ნიშნით, სადაც ბავშვები ახერხებენ ბავშვებად ყოფნას''.

''კომფორტული , თანამედროვე , საინტერესო ინტერიერითა და თანამედროვე ტექნიკით , მაღალი ხარისხის თვალსაჩინოებით , ადაპტირებული გარემო ინვენტარით და ავეჯით''

''მოსწავლეზე ორიენტირებული, სწავლებისთვის მხარდამჭერი''

‘’ თვალშისაცემი პოსტერებით, პლაკატებით, ბავშვებზე მორგებული ავეჯით, სადაც ყველას უყვარს ერთმანეთი და გამოხატავენ სითბოს’’.

‘კითხვაზე- თვლით თუ არა , რომ გუნდური მუშაობა სსს მქონე მოსწავლის აკადემიური ხარისხის გაუმჯობესების უმთავრესი პირობაა?

-

გამოკითხული მასწავლებლების 83 %- ი თვლის, რომ გუნდური მუშაობა მოსწავლის აკადემიური ხარისხის გაუმჯობესების უმთავრესი პირობაა ,ხოლო 17% -ი უარყოფითად აფასებს შეკითხვას.



- კითხვაზე - რა სირთულეს აწყდებით სსს მქონე მოსწავლესთან მუშაობისას

გამოკითხულ მასწავლებლებს უნდა ჩამოეთვალათ ყველა ის სირთულე , რაც გააჩნდათ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეებთან მუშაობისას,

გამოკითხული მასწავლებლები თვლიან , რომ ჰიპერაქტიურობა 12%-ი, ყურადღების დეფიციტი 30 %-ი, უინტერესობა 17 %-ი, ურჩობა 20%-ი და დისციპლინა21 %-ი , არის ყველა ის სირთულე, რაც მასწავლებლებს საგაკვეთილო პროცესში ექმნებათ.



კითხვარი მოსწავლეებს:

- კითხვაზე _ რა არის ინკლუზიური განათლება?

გამოკითხულმა მოსწავლეების 53%-ი თვლის ,რომ ინკლუზიური განთლება, ეხება მხოლოდ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებს, ხოლო 30% -ი თვლის, რომ ხარისხიანი სწავლების მეთოდია, ხოლო დარჩენილი 27% -ი უბრალოდ კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავს იკავებს.



- კითხვაზე- რომელი სასკოლო აქტივობებია მისაღები თქვენთვის ?

გამოკითხული მოსწავლეების 35 %- ი თვლის, რომ გუნდური მუშაობა, 48 %-მა აუდიო - ვიზუალური აქტივობები აირჩია, ხოლო 17% - მა ტესტური წერა.



- კითხვაზე - მოგწონთ თუ არა შეფასების სისტემა და სასწავლო გეგმა?

გამოკითხული მოსწავლეების 62%-ს მოსწონს საგანმანთლებლო გეგმა ,ხოლო 38%-მა უარყოფითად შეაფასა.



- კითხვაზე - ვინ გაძლევთ მოტივაციას, რომ უფრო მეტი ისწავლოთ?

გამოკითხული მოსწავლეები თვლიან ,რომ 35% -ი მასწავლებელი 40 %-ი მშობელი ხოლო 25 %-ი თანატოლები.



- კითხვაზე - სწავლობთ თუ არა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სკოლაში ?

გამოკითხული მოსწავლეების 51%-მა დააფიქსირა უარყოფითი პასუხი , ხოლო 51% უარყოფითი პასუხით დააფიქსირა საკუთარი აზრი.



- კითხვაზე - თუ რას ფიქრობთ გუნდურ მუშაობაზე ?
-



95%-ი გამოკითხული მოსწავლეების თვლის, რომ მოსწონს გუნდური მუშაობა, ხოლო 5% არ მოსწონს.

- კითხვაზე - რას შეცვლიდით სასწავლო პროცესში?

კვლევაში მონაწილე მოსწავლეების 39 %-ი არაფერს შეცვლიდა, ხოლო 61 %-მა აირჩია პასუხი - ‘’ სასწავლო გარემო უნდა იყოს ორიენტირებული მოსწავლეებზე’’.



კითხვარი მშობლებს:

- კითხვაზე - როგორ გესმით ინკლუზიური განათლება ?

კვლევაში მონაწილე მოსწავლეების მშობლების 65%-ს სწორად ესმის ინკლუზიური განთლების დეფინიცია, ხოლო დანარჩენი 35%-ი თვლის რომ : ეს არის სწავლების ფორმა მხოლოდ უნარშეზღუდული მოსწავლეებსითვის.



- კითხვაზე -როგორც სსს მქონე მოსწავლის მშობელი რა სირთულეების წინაშე დგახართ



გამოკითხული მოსწავლეების მშობლები თვლიან , რომ მოსწავლეს უჭირს დამოუკიდებლად სწავლა 35%-ს, გამოკითხული მშობლების 25%-ი თვლის ,რომ ბულინგი სკოლაში წარმოადგენს პრობლემას, 25% თვლის რომ მოსწავლეს არ გააჩნია პასუხისმგებლობის გრძნობა, ხოლო 15% -ი თვლის, რომ საკუთარ შვილს არ გააჩნია პრობლემები სკოლაში.

- კითხვაზე- კომუნიკაციის რომელ ფორმას იყენებთ სპეციალურ მასწავლებელთან, საგნის მასწავლებელთან, კლასის დამრიგებელთან ურთიერტობისას



გამოკითხული მოსწავლეების მშობლების 40 %-ი ყველაზე მოსახერხებლად მიიჩნევს მობილურ პორტატულ საშუალებას, 32% სოციალურ ქსლებს, როგორიცაა ფეისბუკი , პირდაპირ შეხვედრებზე 14% -ი ახერხებს შეხვედრას, ხოლო კომუნიკაცია არ აქვს 14% - მშობლების .

- კითხვაზე - სწავლობს თუ არა თქვენი შვილი უნარებზე დაყრდნობით?

გამოკითხული მშობლების 44% -ი თვლის, რომ საკუთარი შვილი სწავლობს უნარებზე დაყრდნობით, ხოლო 56% თვლის, რომ არ სწავლობს უნარებზე დაყრდნობით.



კითხვაზე- რა ცვლილებებს შეიტანდით სასკოლო ცხოვრებაში?



გამოკითხული მშობლების 27% -ი ფიქრობს, რომ მსოფლმხედველობის არეალის გაფართოება სჭირდება მოსწავლეს სკოლაში, რაც თავის თავში საგნობრივ ინტეგრაციას გულისხმობს, 38 %-ი თვლის, რომ ბავშვებს მეტი მოტივაცია სჭირდებათ, ხოლო 35% -ისთვის გადაულახველი რჩება ფიზიკური გარემო სპეციალური საჭიროების მოსწავლეებისთვის.

ქალაქ ბათუმის №26 საჯარო სკოლის ფსიქოლოგი, მულტიდისციპლინებული გუნდის წევრი, ციალა ტუღუში ,ტელ: 551 08 65 81

ინტერვიუ სატელეფონო ხაზის მეშვეობით ჩატარდა

შეკითხვა პირველი - რას ნიშნავს თქვენი პროფესია ?

- ინკლუზიური განათლების განვითარების საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი , მულტიდისციპლინარული გუნდის ერთ- ერთი წევრი.

შეკითხვა მეორე - რა მიმართულებით მუშაობთ სკოლაში?

- ჩემს მიმართულებაში სედის სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე ბავშვების განვითარება , რეგისტრირებული ბავშვების შემოწმება ,ასევე სკოლის პერიოდში სირთულეების დადგენა, შეიძლება თავის დროზე ვერ მოხდა , თუმცა მერე შეფასდა .შეფასება ხდება ტესტირების შემდეგი უნარების: კოგნიტური , აკადემიური ფუნქციური, კომუნიკაციური , ქცევა და ემოცია.

  შეკითხვა მესამე- რა ფუნქცია გაკისრიათ?
- ვაკეთებ ტესტირებას , მოსწავლეებს რამდენად შეუძლიათ თვითმომსახურება ,ვამოწმებ ნატიფ და მსხვილ მოტორიკას .

  შეკითხვა მეოთხე- მონაწილეობთ თუ არა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა- განხორციელებაში?
- დიახ, გვევალება დახმარება, ჩვენს მოვალეობაში შედის რეკომენდაციები თუ რა ტიპის მომსახურება სჭირდება ბავშვს სკოლაში, რომელი სპეციალისტები უნდა მოემსახურონ . პირველ რიგში , ვუნიშნავთ სპეციალურ მასწავლებელს , ფსიქოლოგს და პირად ასისტენტს.

შეკითხვა მეხუთე- გყავთ თუ არა მულტიდისციპლინარული გუნდი?

- რეგიონების მიხედვით არიან დანაწილებულნი .აჭარაში ვართ სამნი, შედის ისგ-ის შედგენა ,თუ გართულდება ბავშვის მდგომარეობა მოგვმართავენ.

შეკითხვა მეექვსე- ვის აკისრია მნიშვნელოვანი როლი?

- ძირითადი სამუშაო მოდის სპეციალურ მასწავლებლებზე ,საგნის მასწავლებლებზე .ისინი ერთობლივად მუშაობენ.

კვლევის დასკვნა:

ჩატარებული კვლევის ანალიზით ვასკვნით:

- მნიშვნელოვანია, რომ სსს მქონე მოსწავლეებსი მოტივაცია გაიზარდოს, ვინაიდან წახალისებაა საჭირო, აუცილებელია, მოსწავლსი საჭიროებების უ გათვალისწუნება სასწავლო პროცსში;
- კვლევის პროცესში გამოიკვეატ, რომ მშობლების, მოსწვალეების და მასწავლებლების ცნობიერების ამაღლებაა საჭირო, რადგან ზოგიერთმა მოსწავლემ და მშობელმა ინკლუზიური განათლების მნიშვნელობის ზუსტი დეფინიცია არ იცის;
- კვლევის პროცესში, გამოიკვეთა ის ფაქტები, რომ ადაპტირებული გარემო სრულად ვერ პასუხობს ინკლუზიური განთლების პრინციპებს;
- მშობლები თვლიან , რომ მოსწავლის უმთავრესი პრობლემა არის უპასუხისმგებლობა და ინტერესის არ ქონა;
- კვლევის პროცესში დადგინდა , რომ აუცილებელია მშობლების ცნობიერების ამაღლება,ვინაიდან უნდა მოხდეს მათი სრული ჩართვა მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესში , რათა თავიდან იქნას არიდებული რიგითი ხარვეზები, რაც მოსწავლეს გააჩნია სწავლების პროცესში.

რეკომენდაციები:

- აუცილებელია ინკლუზიური განატლების დასანერგად სასკოლო და მხარდამჭერი გუნდის თანამშრომლობა;
- სავალდებულოა ყველა პედაგოგი ფლობდეს ინკლუზიური განათლების პრინციპებს;
- აუცილებელია ყველა სკოლას გააჩნდეს ადაპტირებული გარემო- პანდუსი, ლიფტი, ელექტრო კარი, ადაპტირებული სახელურები და ადაპტირებული ინვენტარი საგაკვეთილო პროცესში;
- უცილებელია სკოლის დირექცია ახალისებდეს იმ მასწავლებლებს , ვინც ასწავლის სსს მქონე მოსწავლეებს;

- აუცილებელია სსს მქონე მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა:
- აუცილებელია, სსს მქონე მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი;
- მიზანშეწონილია ინკლუზიური განთლების სრულყოფისათვის შიდა და გარე მონიტორინგი, რათა მოხდეს მიღწეული შედეგების განსაღზვრა;
- აუცილებელია სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლისთვის დაფინანსების მოდელის დანერგვა;
- მიზანშეწონილია სსსმ ბავშვების მოძიება, ვინც განათლების გარეშე სკოლის მიღმა არის დარჩენილი ;
- მიზანშეწონილია დამატებითი რესურსები ,რათა არ მოხდეს მოსწავლეების გადაადგილების ადგილზე მისვლის, სწრებადობის შეფერხება;
- ინკლუზიური განათლების ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია , მოსწავლის რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდეს სასწავლო გარემოს და სასწავლო მასალის ადაპტაცია;
- აუცილებელია სკოლის დირექციამ და ისგ გუნდმა მასწავლებელი შეეცადოს , რომ ნებისმიერი მიდრეკილების , შეზღუდული შესაძლებლობის და ინტერესის მქონე მოსწავლე მაქსიმალურად ჩართოს სასწავლო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის შეფასებისას ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გათვალისწინება, სადაც შეფასება ხდება იმ სისტემით, რომელიც ამ მოსწავლის შესაძლებლობებზეა მორგებული;
- აუცილებელია ხშირად ჩატარდეს კულტურული ღონისძიებები, სადაც ყველა ბავშვი იქნება ჩართულო აქტივობაში;
- მიზანშეწონილია, რომ სკოლამ უზრუნველყოს მისაწვდომი ფიზიკური გარემოს შექმნა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ტექნოლოგიების (კომუნიკაციისთვის, მობილობისთვის) გამოყენება;
- ინკლუზიური განათლების წარმატებით დანერგვის პროცესში აუცილებელია მასწავლებლების, მოსწავლეების, ადმინისტრაციისა და მშობლების აქტიური და შეთანხმებული მონაწილეობა. მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პედაგოგს, რომლის უმთავრესი ამოცანაა შეძლოს ყველა მოსწავლის თანაბარი

ჩართულობის უზრუნველყოფა და თითოეული მოსწავლისათვის დასახული მიზნის შესაბამისი ცოდნის გადაცემა განსხვავებული სტრატეგიებითა და გეგმით;

- აუცილებელია საზოგადოების ინფორმირებულობა. საზოგადოება ღიად უნდა ღებულობდეს და ხელს უწყობდეს ინკლუზიური განათლების დანერგვას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში;
- თანამედროვე მასწავლებელი და სკოლა მზად უნდა იყოს სსსმ მოსწავლესთან მუშაობისათვის. ის უნდა იცნობდეს და პრაქტიკაში იყენებდეს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს. მან უნდა შეეძლოს სტრატეგიების სწორად შერჩევა, ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობაზე მორგება და მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობის მიღება და განხორციელება.
- სსსმ მოსწავლესთან ურთიერთობისას სასწავლო აქტივობა რაც უფრო მორგებულია მოსწავლის შესაძლებლობებს, მით უფრო წარმატებული და მოტივირებულია მოსწავლე. რაც თავის მხრივ გამორიცხავს მოსწავლის მხრიდან საკმაოდ არასასურველ ქმედებებს, ქცევის წესების დარღვევას, დავალების შესრულებიდან თავის არიდებას.

გამოყენებული ლიტერატურა :

1.გაგოშიძე თ, ჭინჭარაული თ, ფილაური ქ, ბაგრატიონი მ, ,, ინკლუზიური განათლების პრინციპები'' თბილისი, 2008 ;

2.კაპანაძე მ, ბარბაქაია ც, თვეითერიდი ქ, შარიქაძე ი, პაჭკორია თ , ,,ვისწავლოთ ერთად ინკლუზიური განათლება''თბილისი 2008;

3.კუტალაძე ი, ,,ეფექტიანი სწავლება თეორია და პრაქტიკა ,გამოცდების ეროვნული ცენტრი, კვლევის დეპარტამენტი '' თბილისი 2010;

4. მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისთვის (მაკ) , ინკლუზიური განათლება ტრენინგი , თბილისი 2017;

5.მიქელაძე მ, ,,ინკლუზიური განათლება გზამკვლევი მასწავლებლებისთვის'' თვბილისი 2009;

6.ჭანტურია რ, გორგოძე ს, ჩხაიძე თ, ,,ინკლუზიური განათლების პრაქტიკა საქართველოსი'', თბილისი 2016;

7. ,, ინკლუზიური განათლების პრაქტიკა საქართველოში '' , თბილისი , 2016.

ინტერნეტრესურსები:

1. http://mes.gov.ge/content.php?id=289&lang=geo - ინკლუზიური განათლება;
2. http://multimedia.tsu.edu.ge/en/publications/analizi-da-mosazreba/sxva/504-sssm-bavshvebi-da-inkluziuri-ganatleba - დავითაშვილი თ, '' სსსმ ბავშვები და ინკლუზიური განათლება'' 2018, 22 იანვარი;
3. http://inclusion.ge/geo/static/7 - ინკლუზიური გარემოს ხელშემწყობი გარემო ;
4. http://inclusion.ge/geo/static/91 - განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა;

5. http://inclusion.ge/geo/static/69 - სპეციალური მასწავლებლის შესავალი ;
6. http://mastsavlebeli.ge/?p=29256 - ანფიშიადი დ, აუტიზმი და ამბის თხრობა, რამდენიმე მიდგომა და აქტივობები, 2021 , 19 აპრილი;
7. http://inclusion.ge/res/docs/2017031014280188168.pdf - ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი,2016, საქართველოს განათლების და მეცნიერებათა სამინისტრო;
8. http://inclusion.ge/res/docs/2018050314154036321.pdf - ინკლუზიური პროფესიული განათლების წარმატებული გამოცდილება,2017,საქართველოს განათლების სამინისტრო;
9. http://inclusion.ge/res/docs/2016071913425031610.pdf - ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში , 2014- 2015;
10. http://ncp.ge/files/inclusion%20education/wignebi/inkluziuri_ganatleba-cnebebi_da_terminebi.pdf - ინკლუზიური განათლება ცნებები და ტერმინები , 2011;
11. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=18628 - სალამანკას დეკლარაცია;